საერთო გაზეთი

№44 (549) • 18 დეკემბერი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

საქართველოს გზა ევროპისკენ

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა 14 დეკემბრის აქციაზე

სხვა გზა არ არის – გაერთიანებულ მოღალატეთა კასტა, უნდა ჩამოცილდეს პოლიტიკურ პროცესებს

კი, ბატონო, ნუ დაელაპარაკებიან რუსეთს, იყვნენ გაბუტულები და რასაც მოვიმკით, დავინახავთ

სულით ავადმყოფების ადგილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია და არა პოლიტიკაში

ქალი „კლეჩატი პრავიზონკით“

საქართველოს გზა ევროპისკენ

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის ბიძინა ივანიშვილის გამოსვლა 14 დეკემბრის აქციაზე

მოგესალმებით, ყველას – ახალგაზრდებს, ჩემს თანამებრძოლებს, სრულიად საქართველოს!

შვიდი წელი გავიდა საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტოდ ხალხმრავალი შეკრებიდან, როდესაც აქ, ამ მოედანზე, ნახევარი მილიონი თანამოქალაქე შევიკრიბეთ!

მოედანზე, რომელიც თავისუფლების სახელს ატარებს.

შვიდი წლის წინ, ამ მოედანზე, ჩვენ, პრაქტიკულად მთელი ქვეყანა, სწორედ თავისუფლებისა და ღირსების დაბრუნებისთვის გავერთიანდით!

დღესაც, ამავე ადგილას, კვლავ ევროპული არჩევანის უპირობო ერთგულებამ გაგვაერთიანა!

რას ნიშნავს ჩვენთვის ევროპა?!

ევროპა უპირველესად ანტიკურ საბერძნეთში ჩასახული დემოკრატია, „მართალი სამართალი„ და ქრისტიანული სულია;

ევროპა ტოლერანტობა და მრავალფეროვნებაა.

ამ ფასეულობებს ორგანულად ნაზიარები, მრავალსაუკუნოვანი უწყვეტი კულტურის მქონე ერი, თამამად და ამაყად ვაცხადებთ, რომ ჩვენ ვართ ევროპელები და ევროპის დიდ ოჯახში ჩვენ ხელცარიელები არ ვბრუნდებით.

საქართველო – ვეფხისტყაოსნის ცივილიზაციაა, სადაც უცხოს მიღება და განსხვავებული კულტურების თანაარსებობა, დეკლარაციებით კი არ არის დანერგილი, არამედ ჩვენი იდენტობის ნაწილია.

ჩვენში ქრისტიანობა კაბადოკიელმა ნინომ შემოიტანა, რომელსაც სომეხმა შუშანიკმა, არაბმა აბომ და სპარსმა ევსტათიმ უერთგულეს.

საქართველო ხომ ღვინის და დიდი ალბათობით, ხორბლის სამშობლოცაა, რადგან სწორედ ჩვენ დაგვარქვა პირველმა ევროპულმა ცივილიზაციამ, საბერძნეთმა – „გეორგია“, ანუ მიწათმოქმედების ქვეყანა; სწორედ ქართველურ ტომს, ხალიბებს უკავშირდება პირველი რკინის წარმოება; სწორედ ჩვენს ქვეყანაში ჩამოვიდა იასონი ოქროს საწმისის, ანუ ქართველთა საკრალური ცოდნის წასაღებად და არსად სხვაგან.

ჩვენში „ლეკვი ლომისა“ მაშინვე თანასწორი იყო და სწორედ ეს გვაყალიბებდა იმთავითვე ევროპელებად.

ჩვენ, ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, ევროპაში პირველებმა გავამეფეთ ქალი, ჩავსახეთ პარლამენტარიზმის პირველი ნიშნები და სწორედ საქართველოში, შოთა რუსთაველმა დაარწია პირველად ევროპული ჰუმანიზმის აკვანი.

აქ, ჩვენს მიწაზე, „კოლხეთის აკადემიის“ ფესვებზე აღმოცენდა ევროპული განათლების ისეთი მძლავრი რეგიონალური ცენტრები, როგორიც იყო გელათის და იყალთოს აკადემია.

შემდგომში ისტორიულმა ქარტეხილებმა სამწუხაროდ მოგვწყვიტა ჩვენს საერთო ოჯახს, მაგრამ, როგორც კარგად აღზრდილი ადამიანი ინარჩუნებს ღირსებას ნებისმიერ გარემოში, ისე შეძლო ჩვენმა ერმა თავისი ევროპული კულტურის და ფასეულობების შენარჩუნება.

და მაშინაც კი, როცა არავითარი იმედი არ ჩანდა, სულხან-საბა, ისევ ჯიუტად მიისწრაფვოდა დასავლეთისკენ და თავისი – „სიტყვის კონით“ კვლავ ქმნიდა ევროპას საქართველოში.

მიისწრაფვოდა არა იმიტომ სულხან-საბა, რომ ვერ ერკვეოდა გეოპოლიტიკურ რეალიებში, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შეეძლო, რადგან ევროპული იყო მისი ქართული ბუნება.

სწორედ ამ, ქართულმა ბუნებამ დაბადა აღმოსავლეთ მთიანეთის პატარა სოფელში ევროპული მასშტაბის მოაზროვნე და ჰუმანისტი – ვაჟა-ფშაველა და სწორედ ამ ქართულმა ბუნებამ მისცა აღაზას, ზვიადაურის დატირების უფლება.

სწორედ ეს ბუნება, ეს ღირებულებებია, რაც თითოეულ ქართველს ბადებს ევროპელად და საქართველოს აქცევს ევროპის ბუნებრივ ნაწილად!

ამიტომ, ნურავინ იფიქრებს, რომ ჩვენ, ევროპაში ხელცარიელები ვბრუნდებით, ჩვენ ყოველთვის ჩვენი მნიშვნელოვანი წვლილი შეგვქონდა ევროპულ ცივილიზაციაში.

ჩვენი სამშობლო – ესაა ევროპული კულტურა. თუმცა სახელმწიფო, რომელიც ისევე განსხვავდება სამშობლოსაგან, როგორც – ქვევრი ღვინისგან, – ყოველთვის როდი იყო ევროპული ტიპის. ახლა დადგა დრო, როცა ქართული, ევროპული ღვინო – ევროპული კულტურა, ასევე ევროპული ტიპის სახელმწიფოში ჩავასხა თ.

საქართველო ევროპაში არა უბრალოდ, ფორმალურად უნდა დაბრუნდეს, არამედ თავისი კუთვნილი, კაშკაშა ადგილი უნდა დაიმკვიდროს ევროპის თანავარსკვლავედში.

მე ამის მწამს და მტკიცედ მჯერა!

მჯერა, რადგან ვხედავ, ქართველი ხალხი, ქართული სახელმწიფო და საქართველოს ეკლესია – ერი და ბერი, ერთიანი და მტკიცეა ამ არჩევანში!

მჯერა, რადგან ვიცი და ვხედავ, რას ეფუძნება ევროპული ცივილიზაცია.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, თანასწორობა და შემწყნარებლობა – ის ფასეულობებია, რაზეც დგას ევროპა და რაც ასე ღრმად არის გამჯდარი ქართულ სულში.

სწორედ ეს ბუნება, ეს ღირებულებები აქცევს საქართველოს ევროპის ბუნებრივ ნაწილად.

იყო მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური საქართველოს შვილი, ანუ იყო ქართველი, ნიშნავს – მღეროდე მრავალჟამიერს, ქმნიდე პოლიფონიას, ცეკვავდე ხორუმს, წერდე ვეფხისტყაოსანს;

იყო ქართველი – ნიშნავს უძღვებოდე ქართულ სუფრას, შენს თავში ატარებდე ვაჟა-ფშაველას;

ამიტომ, ნურაფრის შეგეშინდებათ, ჩვენ ტკივილი ვერ მოგვერევა და ვერცერთი მტერი ვერასდროს დაგვამარცხებს.

რადგან საქართველო უკვდავია!

უკვდავია მისი კულტურა, მისი დაუდგრომელი სული, რომელიც მუდამ ისწრაფვოდა და ისწრაფვის თავისი ევროპული ოჯახისკენ.

და დღეს, როდესაც დიდი ისტორიის ფესვებზე მდგომებს, მოპოვებული გვაქვს თავისუფლება, როდესაც, ზოგიერთი ხანდახან ირონიულადაც იხსენებს ჩემს სიტყვებს, რომ გასაოცარ დემოკრატიას შევქმნიდით – რეალურად, მრავალი თვალსაზრისით, ჩვენ უკვე ვცხოვრობთ ევროპულ დემოკრატიაში, რომლის მიღწევაც არა ძალადობრივი გზით და უცხოს თავზე მოხვევით, არამედ ჩვენს ფასეულობებზე დაყრდნობით შევძელით.

სწორედ ასეთი მიდგომით მივაღწიეთ ჩვენ, ევროპასთან ასოცირებას და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას; სწორედ ასეთი მიდგომებით მიენიჭა საქართველოს მოქალაქეს ევროკავშირში უვიზოდ გადაადგილების უფლება;

სწორედ ევროპული არჩევანისადმი საქმით ერთგულებამ მოგვიტანა სულ ახლახან ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, თავისუფალი სამყაროს ლიდერის, ამერიკის შეერთებული შტატების უპრეცედენტო, ორპარტიული მხარდაჭერა!

დარწმუნებული ვარ, აუცილებლად დადგება ის დღე, როდესაც ჩვენ, ისევ აქ, ამ სიმბოლურ ადგილას, თავისუფლების მოედანზე, ვიზეიმებთ ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანებას და ყველა ერთად ვიტყვით – ისტორიული სამართლიანობა აღდგა, მიზანს მივაღწიეთ.

მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ევროპა, პირველ რიგში, ზომიერებაა – თავისუფლების და პასუხისმგებლობის იდეალური ბალანსი, იდეალური კვეთა. სამწუხაროდ, ევროპულ სივრცეში დაბრუნება დაბალი ნიშნულიდან იმიტომაც გვიწვეს, რომ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე თავისუფლების სურნელთ გაბრუებულებმა, პასუხისმგებლობა სრულად ვერ გავაცნობიერეთ და პრაქტიკულად დავანგრიეთ ჩვენი ქვეყანა.

ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა კი ორმაგად მძიმე მემკვიდრეობა მიიღო. სიდუხჭირის გარდა, წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით ოკუპაცია, ავტორიტარიზმი, ერთი პატარა ჯგუფის მიერ მიტაცებული და თავისუფალი აზრის, თავისუფალი ადამიანების დასათრგუნად მომართული სახელმწიფო ინსტიტუტები მივიღეთ.

დღევანდელობის ცინიზმი კი იმაში მდგომარეობს, რომ ვინც ოკუპაცია გააფორმა – სწორედ მან მოირგო პატრიოტის მანტია და აქეთ გვდებს ბრალს ოკუპაციაში;

ვინც ფეხქვეშ გათელა ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, აწამა და ქუჩაში ხოცა თანამოძმე, მიიტაცა ბიზნესი, მედია და პრაქტიკულად გააუქმა თავისუფალი სიტყვა, აკრძალა ქუჩა, გახსოვთ რომ ქუჩაში გამოსვლა აკრძალული იყო – სწორედ ისინი გვდებენ ბრალს დემოკრატიის ნაკლებობაში დღეს, თანაც ნაძარცვი ფულით სახელდახელოდ გახსნილი ტელევიზიებიდან;

ვინც ბოლო 30 წლის მანძილზე ლამის მექრთამეობის ეტალონად იქცა, პარლამენტის ტრიბუნიდან კორუფციაზე გველაპარაკება და სამართლიანი სასამართლოს მედროშედ უნდა წარმოაჩინოს თავი.

დიდია ცდუნება, უპასუხო მათ ისე, როგორც იმსახურებენ.

მაგრამ, მე და ჩვენი პოლიტიკური გუნდი, „ქართული ოცნება“ ვრჩებით 2012 წლის იდეალების ერთგულად, მათ ახლაც მოვექცევით არა ისე, როგორც იმსახურებენ, არამედ ისე, როგორც იმსახურებს ჩვენი ხალხი და ჩვენი დიდი კულტურა.

ჩვენ ყველა სიძნელეს დავძლევთ, ჩვენ ქვეყანასაც გავამთლიანებთ და ეკონომიკასაც ავაღორძინებთ! და რაც მთავარია, ისე ვივლით ამ გზაზე, რომ ადამიანი დარჩება მთავარ ღირებულებად და ჩვენს აგრესიულ ოპონენტებსაც კი, მალე, როდესაც ისინი თავად დარწმუნდებიან სიცრუესა და ძალადობაზე დაფუძნებული პოლიტიკის უპერსპექტივობაში, მათაც ქვეყნის სამსახურში ჩავაყენებთ, რადგან ასე მღერიან ქართულ მრავალჟამიერში: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია!„

დაბოლოს!

როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა:

„ჩვენს ქვეყანას ევროპული გამოცდილება, მეცნიერება და განათლება სჭირდება. ეს უნდა იყოს მისი თოფ-იარაღი“.

სწორედ ესაა ჩვენი გზა, ესაა ილიას გზა, ესაა ევროპული გზა.

ამ ვარსკვლავს მივყვებით ჩვენ, რადგან ზუსტად ვიცით, რომ თანამედროვე სამყაროში „გზა ხსნისა„ განათლებაზე გადის.

ამიტომ მივეცით ჩვენს თავს უფლება, ყველაზე მასშტაბური და ამბიციური ინვესტიცია ქვეყნის მომავალში, მის განათლებაში ჩაგვედო.

ბევრი ჩვენზე ეკონომიკურად წელში გამართული ქვეყანა ვერ გაბედავდა, ბიუჯეტის 25% განათლებაზე დაეხარჯა.

ჩვენ კი ეს გავბედეთ და გავაკეთეთ.

განათლების უპრეცედენტო რეფორმა, რომელსაც წელს ჩეყარა საფუძველი, ერთდროულად არის ჩვენი ქვეყნის შვიდწლიანი, მშვიდობიანი და დემოკრატიული განვითარების გვირგვინიც და ამბიციური განაცხადიც ჩვენს გარდაუვალ, სამომავლო წარმატებებზე!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ ღირსეულ გზაზე!

ღმერთი იყოს ჩვენი შემწე ამ ღირსეულ გზაზე

გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ სამშობლოს, გაუმარჯოს საქართველოს.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

14 დეკემბერი - ქართველთა ერთიანობის დღე

14 დეკემბერს „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გამართული მიტინგის გრანდიოზულობამ, როგორც ჩემი მოხევე ახლობელი იტყოდა, ისეთი ბნედა დასცა კოლექტიურ ნაცებს, მათ „ასკოლკებს“ სამოქალაქო თუ მედიასექტორებიდან და ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, რომ მეტნაკლებად შერჩენილი ადექვატურობის ნატამალი ბოლომდე გაუქრო. თურმე მმართველ პარტიას იძულებით გამოუყვანია საზეიმო აქციაზე საჯარო თუ სხვა ორგანიზაციადაწესებულებებში დასაქმებული ადამიანები რეგიონებიდან თუ დედაქალაქიდან. ფეისბუქმომხმარებლები ოპოზიციონერთა ამ განცხადებამ გვარიანად გაამხიარულა, თუ ასეულათასობით დასაქმებულია ამ ქვეყანაში, აბა, რაღას ედავებით ბიძინა ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებასო“. საზოგადოება ერთხმად აღნიშნავს, რომ ასეთი ხალხმრავალი აქცია, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენის შემდეგ რომ იმართებოდა 2012 წელს, აღარ ახსოვთ. კი ამბობენ, რომ თითქოს 150.000 ადამიანი იყო აქციაზე მისული, მაგრამ მომიტინგეთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვფიქრობ, დაახლოებით 400.000 (თუ მეტი არა) იქნებოდა. იმათ გასაგონად, ვინც გულს „იმშვიდებს“, მხოლოდ რეგიონებიდან სპეციალურად ჩამოყვანილი საჯარო მოხელეები იყვნენო, მეტროსადგურები გადაჭედილი რომ იყო ხალხით და ქალაქის ცენტრში რამდენიმე საათით დაიკეტა მეტროში ჩამსვლელთათვის, ამას როგორ ახსნით „პატივცემულნო“? ხალხი მოდის თავისუფლების მოედანზე, ცოტა ხანს ჩერდება და მერე მიმდებარე ქუჩებისკენ ინაცვლებს, თორემ ბევრად მეტი ადამიანი მოდის, ვიდრე აქ ჩანსო, აღნიშნეს ჩემთან საუბარში აქციის მონაწილეებმა.

ხალხმრავალი შეკრების ოფიციალური მიზეზი საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანების ოცი წლის იუბილე და ექვსი თვით ამ საბჭოს თავმჯდომარედ არჩევის საზეიმო აღნიშვნა იყო, მაგრამ ხალხმრავლობის რეალური მიზეზი უფრო ის გახლდათ, კოლექტიური ნაცებისა და მათი სატელიტებისთვის ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციისთვის კიდევ ერთხელ გვეთქვა კატეგორიული არა. ამას გარდა, ცხადია, ევროპისა და მთლიანად დასავლეთისთვისაც უნდა გამოგვეცხადებინა საზოგადოების მათ მიმართ დადებითი დამოკიდებულება და გვეჩვენებინა რამდენად მიუღებელია ქართველი ხალხისთვის ნაცჯალათები. მნიშვნელობა არ აქვს ნაცსექტა გაიყოფა და სახელს შეიცვლის თუ არა, ისინი მიუღებელნი არიან ქართველი ხალხისთვის და მათი სისხლიანი რეჟიმის უკან დაბრუნებას აღარასდროს დაუშვებს. ეს ვაი-პოლიტიკოსები, რომლებიც თურმე ხალხს წარმოადგენენ და მისი სახელით ლაპარაკობენ, 14 დეკემბერს თავისუფლების მოედანზე გამოსულ ასიათასობით ადამიანს ცინიკურად დასცინიან და შეურაცხყოფას აყენებენ. ადმინისტრაციული რესურსი ერთია და დანარჩენი ხალხი ფულით მოისყიდეს, რომ მიტინგზე გამოეყვანათო. საზოგადოება ამ შემთხვევაშიც კითხვას უსვამს „ბრძნული“ დასკვნის ავტორებს, ნაცებიც ხომ არიგებთ ფულს, 300 კაცზე მეტი რატომ ვერ გამოგყავთ თქვენს აქციაზეო. „პროდასავლელმა“ საკაშვილმა, რომელმაც პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ უკანმოუხედავად მოკურცხლა საქართველოდან და მეშვიდე წელია უმისამართო „პასილკასავითაა“ მოდებული ლამის მთელ მსოფლიოს, ძალიან გაიკვირვა, ნეტავ რა ეზეიმება ამ ხალხსო. საერთოდ, ფროიდისეული წამოცდენები ამ „კრიშის“ ბინადრისთვის ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ მაინც დავსვამდი კითხვას, სააკაშვილს „მონოპოლია“ აქვს აღებული და მხოლოდ მისი „პირველკაცობის“ შემთხვევაში უნდა ვზეიმობდეთ დასავლეთთთან დაკავშირებულ დღესასწაულს თუ თუ მართლაც კრემლის, კერძოდ, კაგებეს პროექტი და ემისარია, ამიტომაც არ მიაჩნია საქართველოს ევროსაბჭოს თავმჯდომარეობა?! თურმე საქართველოს მოსახლეობის 60%-ს უნდა ამ ბოროტი კლოუნის საქართველოში დაბრუნება და ამ ხალხთან ერთად უნდა ჩახედოს ბიძინა ივანიშვილს თვალებში. ნეტა ვინ და სად ჩაატარა ეს გამოკითხვა? ნაცებო, განურჩევლად ევროპელობისა და ა.შ. სად გყავთ ის ხალხი, ვისთან ერთადაც აპირებს თქვენი „ყარიბი“ ბელადი მოწინააღმდეგეთა „მონუსხვას“? აქციის დასრულების შემდეგ, სახლისკენ მიმავალს პარლამენტის შენობასთან მომიწია გავლა, სადაც არც „ბობოქარი“ ახალგაზრდა აქტივისტები დამინახავს, გორში თავზე ნაგვის „ვედრო“ ჩამომხობილი მაქარაშვილის მეთაურობით და არც ის ნულოვანრეიტინგიანი პოლიტიკოსები, რატომღაც ხალხის სახელით რომ გველაპარაკებიან. ვერც დიღმელაშვილ-გაგარინი და ის წარბებგამოქნილი რუხაძე შევნიშნე, რომელსაც კუტავიზიის „ვარსკვლავ“ ნანული ჟორჟოლიანის სიძეობას უწინასწარმეტყველებენ „საქმეშიჩახედულნი“. ეს „გაბედულ-უშიშარი“ კონტიგენტი „პაბეგში“ იყო თუ კარვებში ისხდნენ გასუსული, ვერაფერს მოგახსენებთ. კარავთან მიდგმულ მცირე ზომის „ფეჩს“ 5–6 არაპოლიტიკურ-ენერგეოშნიკური გარეგნობის, საშუალო ასაკის ადამიანი მისჯდომოდა და სევდიანი მზერით აცილებდნენ ხალხის ნაკადით გადავსებულ რუსთაველის გაშზირს.

ნაცების გულმხურვალე მხარდამჭერმა „პუბლიცისტკად“ მონათლულმა თაკო ჯანსუღოვნა ჩარკვიანმა, ამ კაბიანმა საკაკაშვილმა, თავისი ჭკუით, ვითომ დასცინა ხალხს, აუუუ, რამდენი ხართო. ისე, ამ „მგოსნისასულსაც“ ვურჩევდი, ისევე, როგორც ნაცპარლამენტარ თინა ბოკუჩავას, მაინც და მაინც ბევრს ნუ ივლიან ქუჩაში, თორემ ხალხი ისეა გაღიზიანებული ამათი საქციელით, მარტო თმების დაპუტვას არ დააჯერებენ. ჯანსუღოვნას „ტყუპისცალმა“ შალვა-მშრომელ ნათელაშვილმაც არ უღალატა ჩვეულებას და „შთაგონებაწვეულმა“ წამოიძახა, 14 დეკემბერს, თავისუფლების მოედანზე თავისუფლება აღკვეთილი საზოგადოება ვნახეო და კოლაუ ნადირაძის ლექსიც დაურთო, თოვდა და თბილისს ეხურა თალხიო. მოგეხსენებათ, ეს ლექსი 1921 წლის თებერვალში წითელი არმიის მიერ თბილისის აღებას და საქართველოს გასაბჭოებას ეხება, ანუ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას. „მარადმწვანე“ ოპოზიციონერ შალიკოს დიდხანს არ აცალეს რომანტიზმ-პატრიოტიზმის „ნირვანაში“ ნებივრობა, შენ ის შალვა არ ხარ, რომლის ვაჟიც, შარშან სმოსკოვში რუსეთის მმართველი პარტიის „ედინაია როსიას“ და რუსეთის პრემიერ-მინისტრ დიმიტრი მედვედევის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ესწრებოდა და მადლობებსაც უხდიდა პარტიასაც და განსაკუთრებით მედვედევსო.

„საერთო გაზეთი“ საზეიმო ღონისძიების მონაწილეებს გაესაუბრა და საკმაოდ საინტერესო პოზიციები მოისმინა.

მცხეთის მერიის თანამშრომლის ნუკრი ქირიას განცხადებით, ძალიან კმაყოფილია, რომ ეს მრავალათასიანი მიტინგი, ასე მშვიდობიანად ჩატარდა.

ნუკრი ქირია: „არავინ ჩამოუყვანიათ ძალით, თუნდაც მცხეთის რაიონიდან, ყველა თავისი სურვილით იყო ჩამოსული. ტრანსპორტი არ გვეყო, თორემ უფრო მეტ ხალხს უნდოდა წამოსვლა. ხალხს ისედაც დიდი სურვილი ჰქონდა შეკრებილიყო და ნაცსექტისა და მისი შიდა თუ გარე მხარდამჭერებისთვის, რომ ძალიან ბევრი ვართ ის ხალხი, რომლებიც ნაცმოძრაობის, სააკაშვილის რეჟიმის ხელისუფლებაში მობრუნების მარტო წინააღმდეგი კი არ არის, არაფრით დაუშვებს. ეს სასიხარულო ამბავიც დაერთო, ევროსაბჭოში გაწევრიანების იუბილე და საქართველოს ხელმძღვანელად არჩევა. გადახედეთ რა ხალხი დგას აქციაზე, ახალგაზრდობასთან ერთად, სოლიდური ასაკის, სერიოზული ხალხი, ამათ ვერც აიძულებ და ვერც მოისყიდი, რამდენჯერ უნდა დავამტკიცოთ ეს?! მცხეთის რაიონიდან ჯერ მარტო ჩვენი მაჟორიტარი დეპუტატის დიმიტრი ხუნდაძის პატივისცემით ჩამოვიდოდით, რომელიც მცხეთელია და ჩამოვიდა კიდეც უამრავი ხალხი. ხუნდაძე ძალიან აქტიური ადამიანია, კორუმპირებულობას ვერ დავწამებთ, სხვათა შორის, იმითაც ჩაიწერა ქულები საკუთარი ამომრჩევლის თვალში, რომ სწორედ მისი ინიციატივით ჩავარდა ცვლილება რომ 2020 წელსვე პროპორციული სისტემით ჩატარებულიყო საპარლამენტო არჩევნები. მის მორიგ ინიციატივასაც მხარს ვუჭერთ, რომ მთლიანად მაჟორიტარული სისტემაზე გადავიდეთ. ხალხის აზრი ხომ გაინტერესებთ, კითხეთ აქციის მონაწილეებს, უმეტესობა თუ არ ემხრობოდეს მაჟორიტარულ სისტემას. სიმართლე გითხრათ, ძალიან კმაყოფილები ვართ ასეთი აქტიური ადამიანი რომ წარმოადგენს პარლამენტში მცხეთას, რომელიც ნელ-ნელა, ეტაპობრივად ისტუმრებს პოლიტიკურ სასაფლაოზე კოლექტიურ ნაცებს და მათ „საძმოს“.

მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ ნაცმოძრაობის უამრავი წევრი, მათ შორის, მცხეთელი ნაციონალებიც მხოლოდ იმიტომ არიან ამ პარტიაში, ფულს უხდიან. კერძო საუბრებში თვითონვე ამბობენ, სამსახური რომ გვქონდეს, დასაქმებული რომ ვიყოთ, ოჯახის სარჩენად, ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ნაცებსო“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სხვა გზა არ არის – გაერთიანებულ მოღალატეთა კასტა, „ნაცმოძრაობა“, უნდა ჩამოცილდეს პოლიტიკურ პროცესებს

გვესაუბრება
პოლიტიკის ანალიტიკოსი
სოსო მანჯავიძე

— ბატონო სოსო, რა მდგომარეობაა ჩვენს ირგვლივ, როგორ ვითარდება მოვლენები რეგიონში მაშინ, როცა ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, მიტინგომანიითაა მოცული?

— დიახ, ამ ხმაურსა და მიტინგობაში ცოტა ვინმემ თუ მიაქცია ყურადღება იმას, რომ საქართველოზე დამატებითი გაზსადენი გამოივლის. „თანაფის“ სახით.

გაზსადენი გაივლის აზერბაიჯანს, თურქეთს და ტრანსადრიატიკულ გაზსადენს შეუერთდება ევროპაში შესასვლელად.

ამ გაზსადენის პერსპექტივა არის ის, რომ არა მხოლოდ შაჰდენიზიდან მიაწოდოს გაზი ევროპას, არამედ თურქმენული გაზიც, რაც, დაახლოებით, 60 მლრდ. კუბურ მეტრ გაზს გაატარებს. რუსეთს დღეს ევროპის ბაზრის, დაახლოებით, 35% უკავია და ის აქტიურად მუშაობს ექსპლოატაციაში შეიყვანოს, ასევე, დაჭირხლული გაზის სიმძლავრეები.

ევროპის ბაზარი რუსეთისთვის მნიშვნელოვანია, რადგან მისი სავალუტო შემოსავლების დიდ პროცენტს მოიცავს და ვისაც ჰგონია, რომ ევროპის ბაზრის 1,0% ცოტაა, მას, ალბათ, არ უდევნებია თვალი ჩრდილოეთი ნაკადი —2-ის, ან სამხრეთის ნაკადის იგივე თურქეთის ნაკადის განხორციელებისთვის. არ გაუთვალისწინებიათ, რა დაბრკოლებები გადალახეს, რა დიპლომატიური, ეკონომიკური და სხვა სახის ბრძოლები გადალახეს, ეს სხვა საუბრის თემაა. სახელმწიფოები თავგანწირვით იბრძვიან, ჰქონდეთ თავიანთი მნიშვნელოვანი ადგილი ბაზარზე და ჰქონდეთ სოლიდური სავალუტო შემოსავლები.

სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, იგივე სირიის კონფლიქტი, რომელიც ამ ბრძოლის ერთ-ერთი კომპონენტი იყო.

რუსეთისთვის და მის მოკავშირეებისთვის ეს მნიშვნელოვანი პროექტია და ცდილობენ ის განხორციელდეს მათი კონტროლის ქვეშ და თუ პირიქით მოხდა, ხელი შეუშალონ ამ გეგმის რეალიზებას.

ყველაზე სუსტი რგოლი ამ ჯაჭვში არის საქართველო და საქართველოში არსებული დესტაბილიზაცია ამ პროექტის განხორციელებას აფერხებს.

რუსეთის, როგორც ამ დესტაბილიზაციის მთავარი დამარეგულირებლის როლი მას აძლევს საშუალებას, რეგიონზე მონოპოლიური კონტროლი იქონიოს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი გააკონტროლებს საქართველოს პოლიტიკურად, ის კეტავს მთავარ ჭიშკარს — საქართველოს ჭიშკარს შუა აზიისკენ.

თუ რუსეთი ამ პროექტის ჩაგდებაში არ იქნება დადანაშაულებული და მეტიც, პროექტის განხორციელება ქართული პოლიტიკური სპექტრის მიტინგობებს გადაჰყვება, რუსეთი პასუხისმგებლობას მოიხსნის და ჩვენ კიდევ ერთხელ დავკარგავთ ავტორიტეტს.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სხვა შეიარაღებული ძალები გარდა რუსულისა, კავკასიაში, არც ერთ კონფლიქტურ ზონაში არ არის.

თურქულიც არის, თუმცა თუ გავითვალისწინებთ რუსულ-თურქულ ურთიერთობებს, ამ ორ ქვეყანას შორის დაპირისპირება ჩვენ გამო, ან ყარაბაღის კონფლიქტის გამო, ძნელად წარმოსადგენია.

მოკლედ, იმის თქმა მსურს, რომ ეს მუდმივი მიტინგები საქართველოში, აუცილებლად გამოიწვევს რუსულ მონოპოლურ კონტროლს ქართულ პოლიტიკურ სპექტრზე. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მათ მიერ მართული პოლიტიკოსების მოყვანას მმართველობაში. რაც იქნება იმ მრავალცვლიანი სადაზვერვო თამაშების შედეგი, რასაც ვხედავთ კიდეც ყოველდღიურად.

ის, რომ რუსული სადაზვერვო სამსახურები საქართველოში ყველაზე ფესვგადგმული არიან, ამაზე არავინ კამათობს. ისინი თამაშობენ სერიოზულ კონსპიროლოგიურ თამაშებს და ვისაც ჰგონია, რომ ვენესუელასა და სირიაში ახორციელებს რუსეთი თავის სცენარებს და საქართველოში არა, ძალიან ცდება. აქვე ისიც უნდა გვახსოვდეს — ვინც მეტად აგინებს რუსეთს, სწორედ ისინი არიან რუსული აგენტურის დაშიფრული წარმომადგენლები.

— „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში დაიბეჭდა სტატია სათაურით „ქართული პოლიტიკური მაფია რუსული აქცენტით“, სადაც სწორედ ოპოზიციის რუსულ აქცენტებზე არის ყურადღება გამახვილებული.

— დიახ. წავიკითხე თქვენი რედაქტორის სტატია ამ თემებზე და უნდა გითხრათ, მეც მრავალჯერ მისაუბრია ამაზე. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ საქართველოში ანტირუსული რიტორიკით გამორჩეული პოლიტიკოსები დროდადრო პარადოქსურად აღმოჩნდებოდნენ ხოლმე მოსკოვში საცხოვრებლად გამწვავებული კონფლიქტების შემდეგ.

— მაგალითად?

— მაგალითად, ბატონი კიტოვანი, პირველი პრეზიდენტის ოჯახი, იმდროინდელი მინისტრები, მებრძოლების დიდი რაოდენობა და თუ ჰგონია, რომ ეს ხდება რუსული სპეცსამსახურების ინსპირაციის გარეშე, მწარედ ცდება.

რუსეთმა ყველაფერი დაგვიშავა, რაც შეეძლო, გარდა იმისა, რასაც ახლა აპირებს.

— რას აპირებს რუსეთი.

— რასაც აპირებს, ეს, ცხადია, არ ხდება გარკვეულ დასავლურ ძალებთან მოლაპარაკებების გარეშე.

რუსეთი აპირებს სრული კონტროლის დამყარებას საქართველოზე.

ამისთვის ის იყენებს ე.წ. პოლიტიკურ ოპოზიციას, მოსყიდულ მედიას და მუდმივად ცდილობს ამ საოცარ ვაკხანალიაში ამყოფოს ქართველი ხალხი.

ეს მედიასაშუალებები და ე.წ. ოპოზიცია გვარწმუნებს, რომ საკაშვილი არის პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკოსი, რომელმაც რუსეთს ჩააბარა ორი რეგიონი თავის ეკონომიკიანად.

პროდასავლელია ბოკერიაო, რომელიც პირდაპირ მოლაპარაკებებში მონაწილეობდა პროცესში, როგორ მიეყიდა კოდორი და ახალგორი. მანამდე ბალტინი რომ მოადგა ფოთს, მასპინძლად დახვდა ბოკერია და რაც ყველაზე საინტერესოა, დვორკოვიჩთან და ტერიტორიების ჩაბარებასთან დაკავშირებით საუბრობენ ვითომ დაპირისპირებული მედიები კრემლთან იმ ფონზე, როცა ქვეყნის შიგნით ყველანაირად ცდილობენ, რომ შექმნან დაპირისპირების ილუზია. სუსლოვის ფორმულა: აგინე რუსეთს და ანგრიე საქართველო, შესანიშნავად მუშაობს საქართველოში. ეს წმინდა წყლის მავნებლობაა და არა მხოლოდ ევროპაში, კავკასიაშიც საქართველოს იმიჯის განადგურებისკენ არის მიმართული, რასაც აკეთებს „გირჩი“, ანტისაოკუპაციო მოძრაობა და ა.შ. და ა.შ. — აჩვენებენ, რომ ქართველებს არავითარი სახელმწიფოს მშენებლობა არ შეუძლიათ, ესენი არიან არასერიოზული ხალხი, რომლებიც საზღვარზე იხდიან შარვალს და უკანალს აჩვენებენ, ფეკალიებს ასხამენ პარლამენტში, სტუმრებს სცემენ — გავრილოვის მაგალითი გავიხსენოთ.

ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ეს პროცესები მიმდინარეობს სახელმწიფოს მიზანმიმართული კასტრაციის ფონზე.

— მაგრამ პოლიტიკური სპექტრი თითქოს გამოსავალს ეძებს — პროპორციული არჩევნები პარლამენტის ახლებური დაკომპლექტების საშუალებას იძლევაო.

— იმ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს პარტიები, არ არის განვითარებული თვითმმართველობა და არც ერთი პოლიტიკური ინსტიტუცია არ მუშაობს, საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელიც ძლიერი პარტიების არსებობას გულისხმობს და რომელიც საქართველოში არ არსებობს, ხელისუფლებამ შექმნა ე.წ. კონსტიტუციური პროცესის იმიტაცია და მივიღეთ ის, რა მდგომარეობაშიც ვართ დღეს.

ამაზე ათასჯერ მარტო მე მაქვს ნალაპარაკევი.

მოკლედ, საპარლამენტო მმართველობა და პროპორციული არჩევნები ნულოვანი ბარიერით, განვიხილოთ ეს.

რამდენი პარტიაა გაერთიანებული იქ? — 30 — ხომ? ანუ, ფაქტობრივად, ყველა პარტია უნდა აღმოჩნდეს პარლამენტში, სავარაუდოდ, ერთმანეთში მოილაპარაკებენ და გამოდის, რომ მთელი საქართველო ამ პარტიების რჩენაზე უნდა გადავიდეს იმ დროს, როცა არც ერთი პარტიის არც ერთი წარმომადგენელი არავის წინაშე, თუნდაც სიტყვიერად, ვალდებული არაა. ამომრჩეველი სახეზეც ვერ დაინახავს წარმომადგენელს. ეს გაურკვეველი ხალხი პარლამენტში დაიწყებენ ვაჭრობას მაშინ, როცა არც ერთს არ აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ქვეყნის განვითარების წლობით შემუშავებული კონცეფციები და ა.შ. ანუ საქმე გვაქვს არჩევნებთან ჩვენი არჩევანის გარეშე, პოლიტიკის სრული მონოპოლიზაციით, პოლიტიკური პარტიების მიერ, ანუ პარლამენტში ვერ მოხვდება ადამიანი თუ არ გაიარს უსუფაშვილ-ვაშაძე-ბოკერიების „ფილტრებს“, რომელიც იმთავითვე დაბინძურებულია, რადგან ჩვენ პარტიები კი არ გვყავს. ჩვენ გვყავს პარტიების იმიტაციები, დაფინანსებული და ნაკვები ჩვენთვის არაკეთილსაიმედო ძალებისგან

საზღვარგარეთიდან. მეტიც, ის სახელმწიფოები გვიკიჟინებენ პროპორციული სისტემის პარლამენტს, რომლებსაც თავად აქვთ მაჟორიტარული სისტემის პარლამენტი.

— მოკლედ, პროპორციული არჩევნების წესით პარლამენტის დაკომპლექტების შემთხვევაში რას ვიღებთ, უფრო კონკრეტულად რომ გვითხრათ.

— ეს იქნება ქაოსი. სრული ქაოსი — საქართველოს ტრაგედიის ფინალური აქტი.

— მაგრამ მანამდე „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი უნდა გავაძევოთ ქვეყნიდანო, იმუქრება „ნაცმოძრაობა“ და მასთან მდგომი პარტიები.

— დღეს ხელისუფლების ცენტრი არის „ქართული ოცნების“ ხელმძღვანელობა და ბიძინა ივანიშვილი. მისი მოცილების შემთხვევაში, ვღებულობთ ასეთ სურათს — „ქართული ოცნება“ იშლება, „ნაცმოძრაობას“ არ აქვს მხარდაჭერა, რომ მოვიდეს სათავეში, სხვა ძალები ვერ თუ არ იქმნება და იწყება ქვეყანაში უმართავი პროცესები. ბიძინა ივანიშვილს წასვლაც რომ უნდოდეს, ვერ წავა, რადგან მასზეა აგებული ვერტიკალი. ის გამოდის ამ გარემოებების მძევალი.

აქ, ამ სიტუაციაში, შეუძლებელია დამყარდეს სახელმწიფოებრივი წესრიგი. ხომ ყველა ვხედავთ, რომ არის მუდმივი კრიზისი და ეს აისახება ეკონომიკაზე, სავალუტო პოლიტიკაზე და ა.შ. ეს ჩვეულებ-



რივი ამბავია — მუდმივი კრიზისის პირობებში ქვეყანა ვერ განვითარდება.

ძირითადი ინტერესებით გაერთიანებული მოღალატეთა კასტა „ნაცმოძრაობის“ სახით, უნდა ჩამოსცილდეს პოლიტიკურ პროცესებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, განვითარების და სიმშვიდის პერსპექტივა არ გვაქვს.

— ბატონო სოსო, თქვენ ისაუბრეთ მხოლოდ რუსულ ინტერესებსა და გავლენებზე ქართულ პოლიტიკურ რეალობაში, მაგრამ, ნუთუ ბოლო წლებში დასავლეთსა და აშშ-ს საქართველოს მიმართ არც ინტერესი ჰქონდა და არც სხვა რამ? თუ ჰქონდათ და მერე დაკარგეს ეს ინტერესები და სურვილები?

— რა თქმა უნდა, ჰქონდათ და ისინი ცდილობენ, საქართველო იყოს ერთგვარი ფორპოსტი. მათ ისიც მშვენივრად იციან, რომ რუსეთის მიერ საქართველოს მთლიანი გაკონტროლება რუსეთისთვის სერიოზული გეოპოლიტიკური კოზირია და ცდილობენ საკუთარი გავლენების გაძლიერებას, მაგრამ მათ არ აქვთ სათანადო რესურსები, ხელი არ მიუწვდებათ. აქ ძლიერია რუსული სპეცსამსახურების როლი და მნიშვნელობა.

დღეს დასავლეთის მიერ დაფინანსებული ნჯო სექტორის და მედიების ავტორიტეტი არ არის ისეთი ქმედითი და ძლიერი, როგორიცაა რუსული ძალა.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესები ჩვენ უნდა განვიხილოთ, როგორც მარად ცვალებადი და მრავალფორმიანი ბრძოლა ლოკალურ ხელისუფლებებსა და გლობალისტურ ძალებს შორის.

ამ სიტუაციაში საინტერესოა რუსეთის იმპერიის მდგომარეობა, სადაც მიმდინარეობს მუდმივი ჭიდილი საკუთრივ რუსული სახელმწიფოს ფუნდამენალისტებს, გლობალისტებს, ლიბერალებს, კონსერვატორებს და სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს შორის, სადაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი სომხურ ლობსაც უკავია. ამ ლობის გავლენები საქართველოზეც ვრცელდება.

თავად სომხეთი, უნდა ვიცოდეთ, რომ არ არის ცალკე, როგორც ერთი ქვეყანა. ებრაელების შემდეგ ფინანსური და პოლიტიკური გავლენებით, სომხური ლობი მეორე ადგილზეა.

სომხებს აქვთ ასეთი მიდგომა — ჯარი აზერბაიჯანის წინააღმდეგ, ლობი — თურქეთის წინააღმდეგ და ეს დღემდე საკმაოდ ეფექტურად მოქმედებს.

— ამერიკის კონგრესმა გასულ კვირას სომხური გენოციდი აღიარა.

— დიახ და საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ჩაუშოღლუს სერიოზული განცხადებაც მოჰყვა ამას.

აშშ-მა ამ გადაწყვეტილებით თურქეთის წინააღმდეგ მოქმედება გამოხატეს რუსეთთან ამ ქვეყნის დაახლოების გამო.

— ჩვენი ქვეყნის პირველი რიგის ამოცანა.

— ეს არის დისკუსიის დაწყება კონსტიტუციის ცვლილებების კუთხით.

პოლიტიკოსები, რომლებმაც შეინარჩუნეს რეპუტაცია ხალხში, უნდა მოხვდნენ 2020 წლის პარლამენტში.

— 2020 წლამდე თუ მივედით.

— ასე პესიმისტებიც ნუ ვიქნებით, მაგრამ, რადგან ეს თქვით თქვენ, ეს ნიშნავს, რომ არსებობს საფრთხეები და ამას გრძნობს ხალხი. საქმე იცით, რაშია? საფრთხეები არსებობს, ე.ი. პოლიტიკური კრიზისი დგას და როგორ შეიძლება განუწყვეტლივ, 8 წლის განმავლობაში ქვეყანაში რევოლუციის მოლოდინი იყოს და მუდმივი ძახილი — შენ ხარ მკვლელი და მეორე — თუ ვარ მკვლელი, რატომ არ მიჭერ, მესამე — ორივე დამნაშავეები ხართ. ეს უნდა დასრულდეს!

— ახლა კიდევ შეიძლება იმაზე ლაპარაკი, რომ დასავლეთი უჭერს მხარს „ნაცმოძრაობას“ და ვერ დავსჯით ანტიდემოკრატიულობაში რომ არ დაგვდონ ბრალიო?

— არა, რა თქმა უნდა. ეს იყო კონკრეტული პოლიტტექნოლოგია იმისთვის, რომ, რადგან არ ჰქონდათ პოლიტიკური დღის წესრიგი, ამით გაემართლებინათ თავიანთი მოქმედებები. დღემდე ვერ ძლევენ ამ ინერციას. ამიტომ საჭიროა ამ მოჯადოებული წრიდან გამოსვლა და იმ კონცეფციის შემუშავება, როგორ ვიცხოვროთ ამ ნარატივებს გარეშე.

ხელისუფლებაში დღეს ყველა თავის თავზე ფიქრობს — გემი თუ ჩაიძირება, მე გადავირჩინო თავიო. გონიერი ადამიანი კი იფიქრებდა: მესაჭე დავაყენოთ საჭესთან, იალქნები გავმართოთ და ფუნქციონალურად მოვაწესრიგოთ გემი, რომ გადავრჩეთო, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გემი ჩაიძირა, ესენი ვერსად ვერ წავლენ, თვითონაც ჩაიძირებიან და ზვიგენების ლუკმა გახდებიან, რადგან ზვიგენებს უკვე აქვთ ნაგრძნობი მსხვერპლის სუნი და უკვე დაცურავენ გემის გარშემო — კარგად ხედავენ შიშის და დაღუპვის ვიბრაციებს და იმ სუნსაც, რომელიც პარლამენტში მატერიალიზდა უკვე.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

სულით ავადმყოფების ადგილი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია და არა პოლიტიკაში

შაბათს თავისუფლების მოედანზე გამართული გრანდიოზული საზეიმო მიტინგის შემდეგ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული გრძნობა დამეუფლა — სიხარული და იმავე დროს სევდა.

სიხარული იმის გამო, რომ ასეთი ლამაზი, ჭკვიანი, განათლებული ახალგაზრდობა გვყავს, რომელმაც ზუსტად იცის, რა უნდა და ისიც იცის, საითკენ, რა მიმართულებით უნდა იაროს.

სიხარული იმის გამო, რომ ასიათასობით ქართველს ჯერ კიდევ შერჩა მზაობა, ერთად შეიკრიბოს, ერთმანეთის გვერდით დადგეს და ქვეყნის განვითარების შესახებ ერთი აზრი და ერთი პოზიცია ჰქონდეს.

თუმცა, როგორც გითხარით, ამ სიხარულს სევდაც ახლდა თან.

სევდა, იმის გამო, რომ ხვალზეგ აქ, ამ ადგილას, სხვა ახალგაზრდები, სხვა ქართველები მოვლენ და შეეცდებიან შაბათის ამ მიტინგისგან აბსოლუტურად განსხვავებული, აბსოლუტურად საპირისპირო განწყობა და სულისკვეთება მოგვახვიონ თავს და ისე დაგვზაფრონ, შეიძლება სიცოცხლე შეგაძულონ.

შაბათის მიტინგს და ოპოზიციის მიერ გამართულ მიტინგებს რომ ვადარებ ერთმანეთს, თითქოს ორ სხვადასხვა ქვეყანაში, ორი სხვადასხვა ერის შვილები მართავენ ამ აქციებს. **იმდენად განსხვავებულია ამ აქციების პათეტიკა, იმდენად განსხვავებულია ამ აქციების მონაწილეთა სინტაქსი, ეჭვი შეიპლეგა მართლაც გაგიჩნდეს — ესენი არ არიან ერთი ერის შვილები, ესენი არ დაბადებულან და არ გაზრდილან ერთ ქვეყანაში.**

ბიძინა ივანიშვილი დაიღალა იმის მტკიცებით, რომ ეს ასე არის და „ნაციონალებიც“ ჩვენი ჯილაგისანი არიან, რომ ისინიც ამ ქვეყნის მოქალაქეები არიან და რაღაც-რაღაცები უნდა ვაპატიოთ, უნდა მივუტევოთ, მაგრამ ეს ყველაფერი მგლის თავზე სახარების კითხვას უფრო ჰგავს — ნაციონალები არ იცვლებიან, მათ ისევ ანგარიშსწორებაზე, სისხლის ღვრაზე, განადგურებაზე და ქვეყნის აოხრებაზე უჭირავთ თვალი და ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგაც ისევ იგივეს გაკეთებას აპირებენ, რასაც მანამდე აკეთებდნენ — დასაჭერთა სიებს ადგენენ და ალბათ, დასახვრეტთა სიებიც ექნებათ მზად.

ამ ერთი კვირის წინათ ნიკუტა გვარამიამ და მიხეილ სააკაშვილმა, ფაქტობრივად, ღიად თქვეს, რომ არც იმ სცენარზე იტყვიან უარს, რომლითაც ჩაუშესკუ და მუამარ კადაფი დაამხეს.

მეტი თვალსაჩინოებისთვის და დამაჯერებლობისთვის „მთავარის“ ეკრანზე ჩაუშესკუს და კადაფის დასჯის კადრები აჩვენეს და ივანიშვილს მიანიშნეს, შენც ასე გაგისწორდებითო.

სადამ ჰუსეინის ჩამოხრჩობის სცენა არ უჩვენებიათ, მაგრამ ამას, ალბათ, სამომავლოდ ინახავენ.

აშკარად ფსიქიატრებისა და ფსიქოლოგების შესწავლის საგანია, თუ რა სჭირთ ამ „ნაციონალებს“. სწორედ მათ უნდა თქვან, ხომ არ არიან ესენი სულით ავადმყოფი ადამიანები რომლებიც მზად არიან დახვრიტონ, გააცამტვერონ, გაანადგურონ ყველა და ყველაფერი, ოღონდ როგორმე დაკარგული ძალაუფლება დაიბრუნონ.

ცხრაწლიანმა პერიოდმა და მის შემდეგ განვლილმა 7 წელმა ნათლად დაამტკიცა, რომ ნაციონალების ხელისუფლებაში მოსვლა კატეგორიულად დაუშვებელია და ეს პირველ რიგში, უნდა შეიგნოს და უნდა გაიგონ იმ ადამიანებმა, რომლებიც „ნაცმოძრაობას“ უჭერენ მხარს და ვერ აცნობიერებენ, რომ ეს სუიციდის და თვითლიკვიდაციის ტოლფასია როგორც პერსონალურად მათთვის, ასევე მთელი ქვეყნისთვის.

რამდენიც არ უნდა ვუკიჟინოთ „ქართულ ოცნებას“ თუ რატომ ვერ მოახერხა „ნაცმოძრაობის“ განეიტრალება, ეს „ქართული ოცნების“ კი არა, პირველ რიგში, საზოგადოების გასაკეთებელი საქმეა არჩევნებში, საარჩევნო ყუთებთან.

ეჭვს არ იწვევს, რომ, რაც 20 ივნისიდან დღემდე ხდება საქართველოში, ეს არის დროში გაჭიმული სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, შენიღბული სხვადასხვა პოლიტიკური მოტივით, რომელსაც, როგორც ვთქვით, სულით ავადმყოფი ადამიანები უდგანან სათავეში.

სულით ავადმყოფების ადგილი კი ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია და არა პოლიტიკაში.

ვახტანგ ხარჩილავა

სოსო ცინცაძე:

კი, ბატონო ნუ დაელაპარაკებიან რუსეთს, იყვნენ გაბუტულები და რასაც მოვიმკით, დავინახავთ

გვესაუბრება
პოლიტოლოგი
სოსო ცინცაძე:

— ბატონო სოსო, ოპოზიცია ივანიშვილს რუსეთის პროექტს უწოდებს. რეალურად, ვინ არიან თავად სააკაშვილი, ვაშაძე და ა.შ. პრო-დასავლელების ნიღაბს ამოფარებული ოპოზიცია ვინც პუტინს დედას აგინებს და „არა ოკუპაციას“ სახელით აქციებს აწყობს, თავად ხომ არ არის რუსული აგენტურა?

— არ ვიცი ვინ ვისი აგენტურაა. საერთოდ, ისიც კი არ ვიცი საქართველოში რამდენი რუსი აგენტია. ოფიციალურად, ძალიან ბევრია თუმცა, 2012 წლის შემდეგ არ მახსოვს ჩვენს ქვეყანაში თუნდაც ერთი რუსი აგენტი დაეპატიმრებინოთ ან გამოევლინოთ. ეს ცოტა რთული საკითხია. მთავარი, სხვა რამ არის. მოდის ახალი წელი, რასაც ერთი რიგითი ქართველისთვის, ტრადიციულად, სიხარული, სიახლე, ახალი იმედები უნდა მოჰქონდეს. ამ დროს დღევანდელობის მთავარი პრობლემა მასობრივი შიმშილი და უმუშევრობაა. ჩემი ასაკიდან გამომდინარე, მახსოვს ჩვენს უბანში თუ ვინმე არ მუშაობდა, პოლიცია მოდიოდა, არკვევდა: რა იყო უმუშევრობის მიზეზი და მოქალაქეს სამუშაოს, ლამის, ძალით ტენიდნენ. დღეს, საქართველოში გადამწყვეტი სოციალური ფონია. რიგ ქვეყნებში ყველაფერს იდეოლოგია — თავისუფლებისთვის ბრძოლა, სამართლიანობის აღდგენის პრობლემა განსაზღვრავს, მაგრამ ყველაზე რთული და საშიშია, როცა მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ნომერ პირველ პრობლემად სოციალური მოვლენა — თვითგამოკვება იქცევა. სხვა დანარჩენი, მეორადია. დედაქალაქში, მეტ-ნაკლებად, ეს არ იგრძნობა. ტელეეკრანებიდან რასაც ვუსმენთ, ისე ჩანს, თითქოს, მთელს ერს რუსეთის პრობლემა, აგრესია და ა.შ. აწუხებს. ასე, არ არის. რაც შეეხება რუსეთთან ურთიერთობას, ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, როგორ შეიძლება მოლაპარაკების წინააღმდეგი ვიყო. ნებისმიერ შემთხვევაში, მოლაპარაკებას, კონტაქტს ალტერნატივა არ გააჩნია. ჯერ კიდევ 350 წლის წინ რიშელიე წერდა: ჩაშლილი მოლაპარაკებაც კი გაბუტვაზე უკეთესიაო. ჩაშლილი მოლაპარაკების შემთხვევაში ზუსტად გებულობ რა უნდა მოწინააღმდეგეს. რა ვითარებაა, ამ მხრივ, ჩვენთან ან იგივე, ევროპაში. უნდა გითხრათ, რომ ევროპაში 90-იანი წლების მერე არავის შეუწუხებია თავი რუსეთის შიდა-პოლიტიკური ანატომია შეესწავლა. რატომღაც, ყველამ გადაწყვიტა, რომ რუსეთი დასრულდა. ლოთი ელცინის რუსეთი დეგრადირებულია და საფრთხე აღარ არსებობსო. მეტიც, აცხადებდნენ: ახლა, მთავარი ჩინეთიაო. ყველა რუსეთუმე ევროპელი კოლეგა უცებ, ჩინეთზე გადაერთო. ამ დროს, გაირკვა, რომ რუსეთი კი არ დასრულდა, პირიქით ძლიერდება და ყველაზე დიდი შეცდომა სწორედ მისი იგნორირებაა, თითქოს, იგი არ არსებობს. გავიძახით: არ დაველაპარაკოთ რუსეთს; ნუ, გავცემთ ხმას; ევროპელი მეგობრების იმედზე ვიყოთო. მიკვირს, ჩვენი თუ არა, სხვის შეცდომებზე მაინც რატომ არ ვსწავლობთ. რამდენიმე დღის წინ პარიზში ნორმანდიის ოთხეულის — რუსეთი, საფრანგეთი, გერმანია და უკრაინა, გახმაურებული შეხვედრა დამთავრდა. შედეგი რა იყო? — მერკელმა, არაოფიციალურად, მაგრამ საჯაროდ აღიარა: პუტინმა გაიმარჯვაო. დღეს უკრაინა იმ მდგომარეობაშია, როგორშიც მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში ჩეხოსლოვაკია იყო — ყველას ეცოდება, თანაუგრძნობენ, მაგრამ მზად არავინ არის, მას სერიოზული დახმარება აღმოუჩინოს. მსოფლიო იცვლება და პრაგმატიზმი სულ უფრო და უფრო ფეხს იკიდებს — საკუთარი თავის იმედზე უნდა იყო. ამიტომ, მეზობელთანაც თავად უნდა დაამყარო ურთიერთობა. ეს რთული, სარისკო პროცესია. აქვე, შეუძლებელია დიპლომატია წარმატებული იყოს, თუ მას ქვეყნის მოსახლეობის, აბსოლუტური, უმრავლესობა მხარს არ უჭერს. დღეს, საქართველოში დიპლომატია — ასეთი ფენომენი არ არსებობს იმიტომ, რომ იგი ქართული საზოგადოების მხარდაჭერას არ ეყრდნობა. მეორე მხრივ, ჩვენს თვალწინ ძალიან საინტერესო ტრანსფორმაცია მოხდა. ახლა, მეცნიერება იმ დონეზე რომ იყოს როგორც ჩემი ახალგაზრდობისას, უკანასკნელი რვა წლის ქრონიკებზე წიგნები დაიწერებოდა. ნახეთ, რა მოხდა: ხალხი რა ხანია აღარ შეხვედრია არცერთ ხელისუფლებას ისეთი იმედით, როგორც „ქართულ ოცნებას“ შეხვდა. სამწუხაროდ, პირველი ოთხი წელი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ნდობა შერყეულიყო. „ქართულმა ოცნებამ“ არცერთი სერიოზული სოციალური დაპირება არ შეასრულა. რას ელოდა ხალხი? — თქვენ, გგონიათ მოსახლეობის 100% სამართლიანობის აღდგენის მოლოდინში იყო? — ეს ზღაპარია. ხალხი უკეთეს ცხოვრებას ელოდა, მაგრამ არც ტარიფები გაიაფდა, არც იაფი კრედიტები გაჩნდა, არც ლარი გამყარდა, არც სამუშაო ადგილები შეიქმნა. თუ სააკაშვილი 100 საავადმყოფოს აშენებას გვპირდებოდა, მაგრამ ერთი პოლიკლინიკაც არ გაუხსნია, „ქართული ოცნება“ 100 საწარმოს დაგვპირდა, მაგრამ ერთი ცეხიც არ გახსნილა, თუნდაც, კახეთში ხილის გადამამუშავებელი საამქრო. პირველი ოთხი წლის შემდეგ „ქართულ ოცნებას“ ჯერ კიდევ ჰქონდა აქტივში მორალური უპირატესობა. სამწუხაროდ, შემდგომ, განსაკუთრებით, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის დროს, როგორც მე-19 საუკუნის ქარაფშუტა თავადები ფლანგავდნენ ქონებას, „ქართულმა ოცნებამ“ ეს მორალური უპირატესობა სწორედ ასე გაფლანგა. ახლა, წინა ხელისუფლებასა და ახლანდელს შორის, თანდათანობით, ზღვარი იშლება. ავიღოთ, მოსამართლეების დამტკიცების თემა. მოსამართლეებს, რომელთა მიერ გაწამებული თაობა ცოცხალია და აქტიურ პოლიტიკურ მარათონშია ჩაბმული, შემდეგი ლოგიკით ირჩევენ — ადრე, ეს მოსამართლეები ცუდები იყვნენ და ახლა კარგები გახდნენო. საოცარი რამ ხდება, გამართლებას ვერ ვპოულობ. ჩემთვის ყველაზე საშიში სულელი პოლიტიკოსია. შეიძლება ცინიზმად მოგეჩვენოთ, მაგრამ სულელს უპრინციპო, ოღონდ, ჭკვიანი ადამიანი მირჩევნია. იმიტომ, რომ ჭკვიანმა თაღლითმა ის მაინც იცის სად უნდა ითაღლითოს და სად — არა, ტყუილი სად თქვას და სად — არა, მაგრამ სულელმა არაფერი არ იცის. ქართულ პარლამენტში ამდენი სულელი დღეს რომ გვყავს, არასდროს მინახავს. უკვე მერამდენე პარლამენტის მომსწრე ვარ — გამსახურდიას, შევარდნაძის, სააკაშვილის. ამ პარლამენტებში ათასნაირი ჭრელი ხალხი იყო, ასევე, თაღლითები, პირდაპირ ვთქვათ, მკვლელებიც, მაგრამ ამდენი სულელი ერთად მთავარ საკანონმდებლო ორგანოში აქამდე, არ მინახავს. იგივე, შევარდნაძის, სააკაშვილის დროს იყვნენ პარლამენტარები, რომლებმაც ის მაინც იცოდნენ, რომ ჩუმად უნდა ყოფილიყვნენ, ამის ჭკუა ჰყოფნიდათ, მაგრამ ამ სულელებმა ისიც არ იციან, რომ უნდა გაჩუმდნენ. გარდა ამისა, თავად შევარდნაძე კლასიკური განათლებით და ცოდნით არ ბრწყინავდა, მაგრამ ბუნებით ნიჭიერი, პოლიტიკოსად დაბადებული იყო. თქვენ, შეიძლება არ გახსოვდეთ, მაგრამ ბატონ ვახტანგს, თქვენს რედაქტორს, ეხსომება და ჰკითხეთ: როგორი თავგამოდებით ეძებდა მეცნიერებს და პარლამენტში ძალით შეჰყავდა. ამდენი მეცნიერი პარლამენტში, შევარდნაძის დროს რომ იყო, არასდროს ყოფილა. მას შემდეგ აქ, მეცნიერი აღარც მინახავს, რაც პარლამენტს ეტყობა კიდეც.

— არჩევნებამდე ათი თვე რჩება. რა მოლოდინი გაქვთ?

— დიახ, ცოტაღა რჩება და შედეგად რას ვხედავთ? — დღეს, ორივე ძალა — პოზიციაც და ოპოზიციაც მთავარ ბერკეტად საარჩევნო კანონს განიხილავს. მმართველი პარტია ამბობს: ჩვენ, ნებისმიერ შემთხვევაში გავიმარჯვებთო. მათი —კობახიძის, მდინარაძის, თალაკვაძის და ა.შ. მტკიცებით მნიშვნელობა არ აქვს სისტემა მაჟორიტარული იქნება, პროპორციული თუ შერეული, თურმე, ნებისმიერ შემთხვევაში წარმატება ელით. ახლა კი, როგორც ირკვევა, პროპორციული არჩევნების შემთხვევაში ვერ იმარჯვებენ და კოალიციური მთავრობის შექმნა „ნაცებთან“ არ სურთ. მმართველი პარტია ამბობს: ოპოზიციასთან ვერ ვითანამშრომლებთ, ამიტომ პროპორციული სისტემა არ გვინდაო. ამაზე შეიძლება დახურულ კარს მიღმა იფიქრო, მაგრამ ამას ღიად რომ ამბობ, ე.ი. სულელი ხარ. უბედურება იცით რა არის? — ჩვენთან, „საერთო გაზეთი“ და კიდევ ერთიორი გაზეთია ჭეშმარიტად პატრიოტული და საინტერესო. თქვენი რედაქტორი ვახტანგ ხარჩილავა გმირია ასეთ დროში ასეთ გაზეთს რომ უშვებს, თორემ, ზოგადად, მედია აღარ არსებობს. ავიღოთ, რა ხდება თოქ-შოუებში: დაპატიჟებენ სხვადასხვა პარტიის სამ-სამ მომხრეს და ცხადდება კონკურსი — ვინ უფრო ხმამაღლა შეაგინებს დედას ერთმანეთს და თუ ერთმანეთზეც გაიწევენ, მთლად უკეთესი. ესაა ჟურნალისტიკა? მთავარი, რისიც ყველაზე მეტად მეშინია, იცით რა არის? — ახალგაზრდებისგან განსხვავებით ძალიან კარგად მახსოვს, როგორ იწყებოდა საქართველოში სამოქალაქო ომი. 1989 წელს ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავი მიწვეული, გამოვედი და რას ვხედავ: ტელევიზიის წინ ჩხუბია, 40-ამდე ახალგაზრდა ერთმანეთს ურტყამს. ერთნი გახლდათ „ეროვნული მოძრაობის“, მერაბ კოსტავას მომხრე და მეორენი — გეპეის ხელმძღვანელობის მიერ გამოგზავნილი კომკავშირელები. აი, ასე იწყებოდა სამოქალაქო ომი. ღმერთმა ნუ ქნას, ეს განმეორდეს. ვიმეორებ, მახსოვს

როგორ იწყებოდა სამოქალაქო ომი. ღმერთმა დაგვიფაროს ამის განმეორებისგან. ომზე, მაშინაც არავინ ფიქრობდა. როცა მაშინდელი გეპეის ხელმძღვანელობამ მერაბ კოსტავას და „ეროვნული მოძრაობის“ ბიჭებს ტელევიზიის წინ კომკავშირელები დაახვედრა, ვერც ისინი იფიქრებდნენ, რომ ამას საბოლოო ჯამში, სულ რაღაც ორი წელიწადში, სამოქალაქო ომი მოჰყვებოდა, რომლის შედეგსაც დღესაც ვიმკით. სამწუხაროდ, არც დღეს უფიქრდება ვინმე, რა შეიძლება ამას მოჰყვეს. ჭირსაც წაუღია არჩევნებიც, პარლამენტიც. ღმერთმა ნუ ქნას, ახალი სამოქალაქო დაპირისპირება. ამას ქვეყანა ვეღარ გადაიტანს.

— ხედავთ, სამოქალაქო ომის საფრთხეს?

— როგორ გითხრათ, მკრთალად, თეორიულად, დიახ, ვხედავ საფრთხეს. თუმცა, ეს ჯერ მხოლოდ სიმპტომია, საფრთხედ გადაიქცევა თუკი დროზე არ ვუმკურნალებთ. ამ არეულობის ინიციატორნი, დღეს, სიმპტომსაც ვერ ხედავენ და საფრთხე როგორ უნდა დაინახონ?! ასე, რომ ისინი, მხოლოდ, შედეგში ჩაეფლობიან. ყველას გვახსოვს, როგორ დაუშინეს რუსთაველზე ქართველებმა ერთმანეთს ქვემეხები და პირველი ეროვნული, კანონიერი მთავრობა დაამხეს. 200 წლის მერე, მართლაც ეროვნულ მთავრობას ვეღირსეთ, თავადვე გადავაგდეთ, რისთვისაც არავითარი ისტორიული შეფასება არ მიუციათ. ის ხალხი ვინც მაშინ ეროვნულ მთავრობას ავტომატით დასდევდა, დღეს, პარლამენტში ზის. მათ რომ ჰკითხოთ: ეროვნული საქმე გააკეთეს. სიმპტომი საფრთხედ რომ არ გადაიქცეს, თავად მას უნდა უმკურნალო. სიმსივნის პირველ სტადიას თუ ვერ მიუსწარი, ადამიანი განწირულია. დღეს, ჩვენი საზოგადოება, სწორედ ასეთ დღეშია. ამ დროს, მთავარი პრიორიტეტი „ქართული ოცნების“ კიდევ ოთხი წლით ხელისუფლებაში დარჩენაა. არადა, ქვეყანაში ისეთი ვითარებაა, ჭკვიანმა ადამიანმა მინისტრობა რომ შესთავაზონ, წესით უარი უნდა თქვას. მაშინ, რატომ იკლავენ თავს ხელისუფლებაში მოსვლისთვის — პირადი გამდიდრებისთვის, ხომ. საქართველოში მწვანილი, ბოლოკი, ხილი უცხოეთიდან შემოდის. ამ დროს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით აღმაშენებელივით ყელმოღერებული, თავდაჯერებული ლაპარაკობს. შეიძლება საქართველოში ბოსტნეული უცხოეთიდან შემოდიოდეს? ასეა, ყველა სფეროში. ყველაზე საშიში ის არის, რომ ხელისუფლებისთვის ბრძოლა ოპოზიციისთვისაც და პოზიციისთვისაც თვითმიზნად იქცა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, არც ერთ მათგანს გათვითცნობიერებული არ აქვს რა შეიძლება ამ ყველაფერს მოჰყვეს.

— ბატონო სოსო, საუბრის დასაწყისში ახსენეთ რუსეთთან მთავარია მოლაპარაკებაო. პრობლემა სწორედ ის ხომ არ არის, რომ დიალოგი სახელმწიფოთა შორის დონეზე კი არ ხდება, არამედ პრო-დასავლელეები საქმის მოსაგვარებლად პრო-რუს ბურჯანაძეს უშვებენ. ეს რას ნიშნავს?

— საქმე რაშია იცით, პუტინმა ქართველი კოლეგა ორჯერ დაპატიჟა. კი, ჩადის ბურჯანაძე, სხვებიც, მაგრამ ისინი გადაწყვეტილების მიმღებნი არ არიან. იქ, ის პიროვნება უნდა ჩავიდეს, ვინც გადაწყვეტილებას ღებულობს ანუ, სახელმწიფო მოხელე. რის იმედზე ვართ? — ასე გაბუტული ვიქნებით რუსეთთან და ჩვენს პრობლემებს, უცებ, დასავლეთი მოაგვარებს?!

ჩვენ გვყავს მინისტრი, რომელიც ცხინვალში ვერ ჩადის. პაატა ზაქარეიშვილი დღეს მინისტრი რომ ყოფილიყო, მაგალითად, ვაჟა გაფრინდაშვილი დიდი ხნის გათავისუფლებული იქნებოდა. პაატა თავისუფლად ჩადიოდა ცხინვალში. ეს ქალბატონი კი აქედან დგას და რაღაც გაურკვეველ განცხადებებს აკეთებს. თუ ვინმეს ჰგონია ოსები ჩვენს მიერ საზღვარზე მოწყობილი აქციების გამო გაათავისუფლებენ ექიმს, ამ თემაზე კამათიც აღარ მინდა. აბა, ჰკითხეთ ოსებს, რას ფიქრობენ: საბურთალოზე 20 ახალგაზრდა გამოვიდა, გაიძახოდნენ: თავისუფლება ვაჟა ექიმსო და მოდი, რაც არის არის, გავათავისუფლოთო?! ეს ხომ სასაცილოა. ოსების ზურგს უკან რუსეთი დგას. მასთან უნდა მიხვიდე და დაელაპარაკო. ჩვენს მინისტრს, ეტყობა, პირდაპირი კონტაქტებიც არ აქვს, რომ ტელეფონი აიღოს და მის კოლეგას ცხინვალში დაურეკოს. ბოლობოლო ომიდან 10 წელი გავიდა, დალაპარაკების დონეზე მაინც ხომ უნდა გვქონდეს ურთოერთობა.

— ახლა ახსენეთ, სულ ტყუილად გვგონია ჩვენს გამო დასავლეთი რუსეთს რაიმეს აიძულებსო.

— დასავლეთსაც თავისი გასჭირვებია. ჩვენ რა მოსატანი ვართ, როცა ზელენსკი პირდაპირ გადაადგო. აქ, ამაზე არ საუბრობენ, მაგრამ პირდაპირ გეტყვით: რაც რამდენიმე დღის წინ პარიზში მოხდა, ეს უკრაინის კრახი იყო. ეს გახლდათ ბრესტის ზავი, რაც გერმანიამ თავის დროზე ლენინის რუსეთს გაუფორმა. ეს უკრაინისთვის ერთხელ და სამუდამოდ დონბასის დაკარგვაა. დასავლეთმა ეს გააფორმა. უკრაინა 40 მილიონიანი ქვეყანა გაცილებით უფრო სტრატეგიულია, ვიდრე ჩვენ. აქედან, გაკვეთილი ხომ უნდა გამოვიტანოთ. თუ უკრაინისთვის არ წუხდებიან, ჩვენთვის ვინ მოიკლავს თავს. ჩვენს გასაჭირს თავად უნდა მივხედოთ. არ შეიძლება სულ იმის იმედზე ვიყოთ: რას იტყვის სტოლტენბერგი, ევროსაბჭოს რეზოლუციაში რა ჩაიწერება და ა.შ. ეს რეზოლუციები 20 წელია იწერება. მერე, რა? შედეგი რა არის? პოლიტიკა რომელიც შედეგზე არ არის გათვლილი, დილეტანტიზმია. 30 წელია ერთ წრეზე ვბრუნავთ და პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღება არავის უნდა. დიახ, არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმა არავის სურს. დღეს არაპოპულარული ნაბიჯია ჩვენი პრემიერ-მინისტრის მიერ რუსეთში წასვლა და პუტინთან დალაპარაკება, მაგრამ ვერ გაუგიათ, რომ ეს ქვეყნისთვის არის საჭირო, აუცილებელი. იმაზე კი არ უნდა იფიქრო: რუსეთიდან რომ დავბრუნდები, აეროპორტში როგორ შემხვდებიანო, არამედ იმაზე რას იტყვიან შენზე მომავალი თაობები. დაჯდნენ და ელოდონ, სანამ რუსეთი არ დაიშლება. პუტინი, ახლა, ბელორუსიას მიიერთებს, 2024 წელს 6–7 წლით პრეზიდენტობას გაიფორმებს და მორჩა, გავიდა ცხოვრება.

— მართლაც, აქ, ხშირად გაიგონებთ მოსაზრებას: რუსეთი მალე დაიშლება და საქართველოსაც ეშველებაო.

— რუსეთი, ელცინის დროს, პრაქტიკულად, დაშლილი იყო. ეშველა საქართველოს?! სწორედ მაშინ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. დიახ, რუსეთი, ელცინის დროს, თითქმის, დაშლილი იყო — არ ჰყავდა არმია, მთავრობა, პარლამენტს ქვემეხებს უშენდნენ და ა.შ. რუსეთს ლოთი პრეზიდენტი ჰყავდა, რომელიც 24 საათში 5 წუთი იყო ფხიზელი. აქედან დასკვნა ხომ უნდა გამოვიტანოთ, არა?!

— ელცინის რუსეთს ჯარი არ ჰყავდაო, ახსენეთ. საქართველოს პრეზიდენტმა, ახლახან, განაცხადა: არც ჯარი გვყავს, არც იარაღი და არც გვექნებაო. ამაზე რას ფიქრობთ?

— ჩემი დამოკიდებულება პრეზიდენტისადმი საყოველთაოდ ცნობილია. ეს არის, აბსოლუტური, გაუგებრობა. ამ ქალს ქართველობის არაფერი სცხია. მისთვის არც საქართველოს ინტერესებია ცნობილი და არაფერი. უბრალოდ, ეს არის იმის ილუსტრაცია, რაც ჩვენთან ხდება.

— ბატონო სოსო, დღეს თუ ვიცით, რა უნდა მოწინააღმდეგეს — რუსეთს?

— რუსეთს რა უნდა, წარმოდგენა არ გვაქვს. არ მჯერა, რომ ბოკერია რუსეთს ჩემზე უკეთ იცნობს. მე, იქ, ვსწავლობდი, ვცხოვრობდი, მეგობრები, კოლეგები მყავს. დღესაც მოსკოვში ორი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრი ვარ, თუმცა სხდომებზე ვერ დავდივარ. ბოკერია ან ნებისმიერი „ნაციონალი“ ამ ქვეყანას ჩემზე უკეთ იცნობს? ისმის კითხვა: რა უნდა დღეს რუსეთს? შეიძლება მკრეხელობა გამომივიდეს, მაგრამ როცა სტალინს რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაზე აზრი ჰკითხეს, მან ძალიან სწორი, იდეალური შეფასება გააკეთა — ეს იყო უმცირესი ბოროტებაო. დღეს, ჩვენ, რა ბოროტება გველოდება ალტერნატივად? — საქართველოს დაცლა. ვიძახით: ევროპაში წავიდეთ დასასაქმებლადო. ვინ გღებულობს იმ ევროპაში? ეგერ, ინგლისის ახალი ხელისუფლება იმაზე ფიქრობს: როგორ გაამკაცროს შესვლა მის ქვეყანაში. ისინი ამბობენ: აღარ გვინდა ამდენი პოლონელი და ლიტველი სანტექნიკოსებიო. გეკითხებით: ვის უნდა ჩვენი საქართველო? ჩვენ რა, ევროპას სპეციალისტებს ვთავაზობთ? ევროპაში საქართველოდან ქალები არიან წასული, რომლებიც მომვლელებად მუშაობენ. დაიცლება ქვეყანა. საქართველოში ნახევარი მილიონი მცხოვრები იყო და 50 წლის წინ, მიუხედავად ომისა, ხუთ მილიონს გადასცდა. დღეს, რამდენი მოსახლე ცხოვრობს, კაცმა არ იცის. სამი მილიონი საქართველოში მეორე მსოფლიო ომის დროს არ ყოფილა მაშინ, როცა აქ, მამაკაცი არ დატოვეს. პროცენტულად, საქართველოდან, ყველაზე მეტი მამაკაცი იყო ჯარში გაწვეული. კი, ბატონო ნუ დაელაპარაკებიან რუსეთს, იყვნენ გაბუტულები და რასაც მოვიმკით, დავინახავთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ქალი „კლეჩატი პრავიზონკით“

პოლიტიკური ნოველა

რუსეთი, მოსკოვი, კრემლის შესასვლელი.

– ამხანაგო, აქ ჯდომა აკრძალულია! – დასჭყივლა სამხედრო ფორმაში გამოწყობილმა დარაჯმა კიბის პირველ საფეხურზე მჯდომ ქალს.

– რატომ არის აკრძალული? – ახედა ქალმა დარაჯს.

– იმიტომ, რომ თქვენ კრემლის შესასვლელში ზიხართ, უხერხულია!

– იცით, იმას ველოდები, აუცილებლად უნდა ვნახო.

– ვის ელოდებით?!

– ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს.

– უკაცრავად, ვის?!

– ვლადიმირ პუტინს.

– ჰა, ჰა, ჰა... რას მიედ-მოედებით, ამხანაგო, ჩვენი პრეზიდენტი საიდუმლო შესასვლელით სარგებლობს!

– ნუთუ? არადა, აუცილებლად უნდა ვნახო, ქართველ ერს დავპირდი, დაველაპარაკები-მეთქი.

– ტყუილად დაპირებიხართ, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩს ასეთი რაღაცებისთვის არ სცალია. გთხოვთ, სასწრაფოდ აბრძანდეთ აქედან! – უფრო გაამკაცრა ტონი დარაჯმა.

– რას ჰქვია, ავბრძანდე... თქვენ იცით, ვის ელაპარაკებით?! – გაწიწმატდა ქალიც.

– ისე, რაღაც ნაცნობი სახე გაქვთ, ღმერთო ჩემო, ვერ გიხსენებთ, – ჩასჩურჩულა ყურში დარაჯმა.

– ჰმ... „პადუმაეშ“, – აიბზუა ცხვირი ქალმა და ნორკის შუბის ფუმფულა საყელო ფაქიზად შეისწორა.

– ურა�ა, გამახსენდით! ნუთუ ეს თქვენ ხართ, ამხანაგო ტეტჩერ? რა ახალგაზრდულად გამოიყურებით?! – გაიჭიმა დარაჯი.

– არ ვარ მარგარეტ ტეტჩერი, უბრალოდ ძალიან ვგავარ.

– ღმერთმანი, ასეთი მსგავსება შეუძლებელია, თქვენ უდავოდ ამხანაგი ტეტჩერი ბრძანდებით.

– მე ნინო ვარ ბურჯანაძე, საქართველოს პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, ერთი თვე პრეზიდენტის მოვალეობასაც ვასრულებდი, ჩემს ქვეყანაში კი „ბელა ჩაოსაც“ მეძახიან. რამდენიმე წლის წინ ვლადიმირ ვლადიმიროვიჩსაც შევხვდი, სურათებიც გადავიღეთ ერთად. ნუთუ არ გახსოვთ?! – უფრო გათამამდა ქალი.

– ააა, გამახსენდა, „ბლიად“... დიახ, თქვენ ის ხართ, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩთან „კლეჩატი პრავიზონკით“ რომ შეხვედით, ჩურჩხელები რომ ჩამოუტანეთ, ხომ? – გადაიხარხარა დარაჯმა.

– კარგი მეხსიერება გქონიათ.

– კიდევ ხომ არ ჩამოგიტანიათ ჩურჩხელები?

– მარტო ჩურჩხელები? გოზინაყიც ჩამოვუტანე და საცივიც.

– ამხანაგო ნინო, ახლავე დავრეკავ საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩემს კოლეგასთან და იმედია, ის მაინც მიგიღებთ.

დარაჯმა „ბუშლატის“ ჯიბიდან ანტენიანი ტელეფონი ამოიღო, დაორთქლილი ეკრანი თითებით გადაწმინდა და ნომერი აკრიფა.

– ალიო... სალამი, პროკოფ პროკოფიჩ, აქ ერთი ქალია ჩამოსული საქართველოდან, ვლადიმირ ვლადიმიროვიჩთან შეხვედრას ითხოვს, მაგრამ ეს გამორიცხულია, იქნებ თქვენ ან თქვენმა თანაშემწემ მაინც მიიღოთ? რა უნდა? ზუსტად არ ვიცი, იძახის, ქართველ ერს დავპირდი, რომ რუსებს დაველაპარაკებიო. თან ჩურჩხელები, გოზინაყი და საცივი აქვს ჩამოტანილი... საცივი ის არის, მგონი, რაღაც ყვითელ მასაში ინდაურის ხორცს რომ ამოთუთხნიან ხოლმე.ჰო, კარგი, ახლავე გამოვუშვებ თქვენთან, ნორმალურად შეხვდით, რაც არ უნდა იყოს, პარლამენტის თავმჯდომარე იყო წინა ცხოვრებაში და თანაც მარგარიტა ტეტჩერს წააგავს ძალიან.

– უთხარით, მანდარინიც აქვს ჩამოტანილი-თქო, – მიაძახა ქალმა, სანამ დარაჯი ტელეფონს გათიშავდა.

– ჰო, პროკოფ პროკოფიჩ, ამხანაგი ნინო იძახის, მანდარინიც მაქვს ჩამოტანილიო.

– და ჭაჭაც! – შესძახა ქალმა.

– ქალბატონო ნინო, ჭაჭა ჩვენ დაგვიტოვეთ, საგარეო საქმეთა სამინისტროში ვერ გაგატანთ, დათვრებიან და ისეთ განცხადებებს გააკეთებენ, შეიძლება მესამე მსოფლიო ომი დაიწყოს, ისედაც არ გვაკლია შარი და ხათაბალა, – მიუგო დარაჯმა, როცა ტელეფონი გათიშა.

– ჰო, მართალი ხართ... ესე იგი, საგარეო საქმეთა სამინისტროს შენობასთან მივიდე? – წამოდგა ქალი და „კლეჩატი პრავიზონკიდან“ ორი ბოთლი ჭაჭა ამოიღო.

– დიახ, ამხანაგო ტეტჩერ კი არა და... ამხანაგო ნინო, – მიუგო დარაჯმა და ჭაჭის ბოთლები იღლიებში ამოიჩარა.

– თუ შეიძლება, თქვენი სახელი და გვარი ჩამაწერინეთ, როცა თბილისში ჩავალ, განვაცხადებ, რომ მნიშვნელოვან პირებს შევხვდი რუსეთში.

– ჟოპინ ჟოპინოვიჩი გახლავართ, კრემლის დაცვის უფროსის თანაშემწის მესამე მოადგილე. მართლაც მნიშვნელოვანი ფიგურა ვარ რუსეთის მასშტაბით და არა მხოლოდ რუსეთის.

– კარგად ბრძანდებოდეთ, ჟოპინ ჟოპინოვიჩ, დიდი მადლობა ასეთი გულთბილი მიღებისთვის... ისე, ხომ არ იცით, ვაჟა ექიმს როდის გაათავისუფლებენ?

– ეგ რომელია? – აიჩეჩა მხრები ჟოპინმა.

– აი, ცხინვალში რომ დააპატიმრეს ჩვენმა მეგობარმა ოსებმა.

– ააა... მალე, ძალიან მალე, ამხანაგო ნინო.

– ესე იგი, შემიძლია, რომ ქართველი ერი დავაიმედო, ძალიან სწრაფად გაათავისუფლებენ, შეთანხმება უკვე მიღწეულია-მეთქი?

– რა თქმა უნდა, შეთანხმება მიღწეულია და თანაც მაღალ დონეზე, მე სიტყვის კაცი ვარ! – გაიჭიმა ჟოპინი და ქალს „ჩესტი“ აუღო.

– უკაცრავად, საგარეო საქმეთა სამინისტრომდე რა ნომერი მიდის? – შეყოვნდა ქალი.

– ყველა ნომერი იქით მიდის... აგერ, წითელი მოედნის კედელს გაუყევით, მავზოლეუმის კუთხეში გაჩერდით, სადაც სტალინის ფერფლია შედგმული „ბანკით“. ხელის აწევა არ დაგავიწყდეთ, ისე არ გაგიჩერებენ.

ქალი წითელი მოედნის კედელს გაუყვა. სიცივე არ ადარდებდა, თავის დროზე „გუმში“ ნაყიდი ნორკის შუბა და „ცუმში“ ნაყიდი ჩეხური ჩექმები საკმაოზე მეტად ათბობდა, საბრძოლო განწყობაზე აყენებდა და შეხვედრების ჟინს აღუძრავდა. სანამ ყვითელი „პაზიკი“ ჩამოივლიდა, ერთი ხანობა ფიქრებმაც კი გაიტაცა... ჰმ, ერთი ნახოს ივანიშვილმა როგორ გრანდიოზულ შეხვედრებს მართავს, როგორ პომპეზურად იღებენ ყველა დონეზე, როგორ ეფიცებიან რუსი პოლიტიკოსები, საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაევრევითო. არც ჩაერევიან, როდის ჩარეულან? ქალმა ხელი აიქნია, ყვითელი „პაზიკი“ ლამის მის ფეხებთან „დატორმუზდა“. კარი ჭრიალით გაიღო.

– საგარეოსთან გაივლით?! – შესძახა შოფერს.

– დიახ, საშინაოსთანაც, მიუგო შოფერმა.

ქალი ქოშინით ავიდა ავტობუსში და წინა სკამზე მოკალათდა, „კლეჩატი პრავიზონკა“ გვერდით მოიდგა.

– ბატონო შოფერო, მადლობას გიხდით ასეთი გულთბილი მიღებისთვის, როდესაც სამშობლოში დავბრუნდები, აუცილებლად ვისაუბრებ ამ მნიშვნელოვანი შეხვედრის თაობაზე, – მიმართა ქალმა შოფერს.

– „პაჟალუსტა“, ოღონდ ხუთი რუბლი გადაიხადეთ, – გადააქნია თავი შოფერმა.

– რა თქმა უნდა, გადავიხდი, ხუთი რუბლი არაფერია სამშობლოს სიყვარულთან შედარები თ. მე ჩემი ქვეყნის მოსახლეობას დავპირდი, რომ მიუხედავად უამინდობისა, მაინც ჩამოვიდოდი თქვენთან და დავსახავდი სამომავლო გეგმებს ურთიერთთანამშრომლობის კუთხით!

მგზავრებმა ერთმანეთს გადახედეს, ქალს არავინ გამოპასუხებია. მხოლოდ შოფერმა ამოიგმინა და გამოაცხადა, საგარეოსთან ჩასვლა ვისაც გინდათ, ვაჩერებო. ქალმა ჩასვლისას შოფერს ხელი გაუწოდა, თან მისი გვარ-სახელის გაგებაც მოინდომა.

– მე ვარ ტარას ცუცუმბაევი, ცნობილი შოფერი ყველაზე ცნობილ შოფერთა შორის!

– ბატონო ცუცუმბაევ, ვფიქრობ, ჩვენი შეხვედრა უაღრესად ნაყოფიერი იყო!

საგარეო საქმეთა სამინისტროს შესასვლელთან წითელი ხალიჩა გამოეტანათ. მარჯვენა მხარეს სამი „მუზიკანტი“ იდგა, ერთი კლარნეტს აჭყვიტინებდა, მეორე „ბარაბანზე“ ურტყამდა ჯოხებს, მესამე მღეროდა: „სტრანა მაია შიროკაიაااა“! ქალს ტანში დაჰბურძგლა. კართან ულვაშიანი კაცი იდგა, რომელსაც ღიპი საშუალოზე მეტად წამოზრდოდა, სამხრეებზე სამი ვარსკვლავი უბრჭყვიალებდა, კაპიტანი უნდა ყოფილიყო უთუოდ.

– ამხანაგო ტეტჩერ კი არა და... ამხანაგო ბურჯანაძევ, კეთილი იყოს თქვენი ფეხი ჩვენს უკიდეგანო მიწაზე!

– მოგესალმებით... თქვენ ალბათ პროკოფ პროკოფიჩი ბრძანდებით.

– დიახ, რა თქმა უნდა, პროკოფიჩი გახლავართ, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს საყარაულო დეპარტამენტის უფროსი, ეს კი ჩემი თანაშემწეა, ტრაკან ტრაკინი, რომელთანაც უშუალოდ გამართავთ მოლაპარაკებებს ჩვენი ქვეყნების სამომავლო ურთიერთობების თაობაზე, – გაიშვირა თითი პროკოფიჩმა კაცისკენ, რომელსაც სახეზე ეწერა, გამიშვით, თორემ სადაცაა ჩავიფსამო.

– ფრიად სასიამოვნოა ასეთი მაღალი რანგის სახელმწიფო მოღვაწეებთან მოლაპარაკება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის დათბობის თაობაზე! – წარმოთქვა ქალმა ამაყად.

– ისა... ამხანაგო ნინო... კი მერიდება, მაგრამ სანამ მოლაპარაკების მაგიდას მიუჯდებით, გთხოვთ, ეგ „კლეჩატი პრავიზონკა“ საყარაულოში დატოვოთ, საღამოს გავინაწილებთ... ვლადიმირ ვლადიმიროვიჩის ნებართვით, რა თქმა უნდა, – უთხრა დაბალი ხმით პროკოფიჩმა ქალს.

– რა თქმა უნდა, რა პრობლემაა? მთავარია, ორ ქვეყანას შორის იყოს ურთიერთგაგება და ნდობა... სხვათა შორის, პროკოფ პროკოფიჩ, კარგი იქნება, თუ „პრავიზონკის“ გადმოცემის ცერემონიალს თქვენც დაესწრებით და ამავე დროს გავაფორმებთ ურთიერთგაგების მემორანდუმს, – მიუგო ქალმა.

კლარნეტისტი კინაღამ გაიხა ნაკერავზე. ქალმა ინანა, რომ გრიგოლ ვაშაძე არ ხედავდა საკუთარი თვალით ამ ყველაფერს. მედოლემ ლამის გახია დოლი ნაკერავზე. მომღერალიც, რა თქმა უნდა, შეუდგა თავის საქმეს: „ჩიტო, გრიტო, ჩიტო მარგარიტო, დაااااა“!

ქალი იდგა ამაყად, მარჯვენა მჯიღი დაედო მარცხნივ, გულის ფიცარზე და თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდა.როდესაც ის ხელს აწერდა ურთიერთგაგების მემორანდუმს, უნებლიედ გაიფიქრა: „პრედსტავლიაიუ, ჩტო სეიჩას ტვარიტსა ვ ტბილისი“!

ბელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური შეტევა პარლამენტზე

გაერთიანებული ოპოზიციის სათათბირო კარავს ორი ახალგაზრდა კაცი მიადგა და უფროსობა იკითხეს.

— ჩვენ აქ ყველანი უფროსები ვართ. თქვენ რომელი გინდათ? — ჰკითხეს მასპინძლებმა სტუმრებს.

— ჩვენ მთლად უფროსი გვინდა.

— მთლად უფროსი კიევშია.

— როდის ჩამოვა?

— ეგ როდის ჩამოვა, არავინ იცის... შეიძლება ერთი წლის შემდეგ ჩამოვიდეს, შეიძლება ათი წელი შეაგვიანდეს... რა გინდოდათ თქვენ, იქნებ ჩვენ გადაგიწყვიტოთ საკითხი.

არც საპატრულო პოლიციასთან ჯაჯგური დაგვჭირდება და არც სპეცნაზთან, ეგრევე დაახვევენ.

— საინტერესოა... როგორ მზადდება ეს ხსნარი, მეგობრებო? — იკითხა ბატ. გრიგოლმა და ულვაშები ააცმაცუნა.

— შეგვიძლია ქიმიური პრეპერატებისგან დავამზადოთ... ასევე შეიძლება დამზადდეს ნატურალური მასალისგან. ნატურალური მასალისგან დამზადებულს უფრო მძაფრი და მჭახე სუნი აქვს და უფრო ეფექტურად და სწრაფად მოქმედებს.

— თუ ასეა, ნატურალური მასალისგან დავამზადოთ.

— ქიმიკოსები ვართ ჩვენ... უნივერსალურ ხსნარს ვამზადებთ.

— თაგვისა და მღრღნელების წამალს?

— არა, ეს სხვა დანიშნულების ხსნარია... დარბაზში რომ მოასხურო, ისეთი სუნი აქვს, ადამიანი ვერ გაჩერდება.

— ასეთი რა სუნი აქვს?

— ფეკალიების... უფრო ზუსტად განავლის...

— აი, ჩვენი პარლამენტის სხდომათა დარბაზში რომ მოვასხუროთ, რა მოხდება?

— რა მოხდება და სხდომა ჩაიშლება — ისეთი სუნი დადგება, ვერავინ ვერ გაჩერდება.

— მართლა?

— ნამდვილად!

— მოიცადეთ ერთი წუთი აქ და სხვებსაც დავუძახებ.

ცოტა ხანში კარავში ათამდე ადამიანი მოგროვდა.

— ბატონო გრიგოლ, ეს მეგობრები უნიკალურ ხსნარს გვთავაზობენ... ფეკალიების მძაფრი სუნით... პარლამენტის სხდომათა დარბაზში რომ მოვასხათ,

— კი, ბატონო.

საუბარში ნიკა მაჭუტაძე ჩაერთო.

— მე მაქვს იდეა, კონცეფცია, რომლის ხორცშესხმა მეტ სიმბოლურობას და იდეოლოგიურ დატვირთვას შესძენს ამ ხსნარს. მოდით, დამზადდეს ეს ხსნარი გაერთიანებულ ოპოზიციაში შემავალი პარტიების ლიდერების ფეკალიებისგან. დარწმუნებული ვარ, სულ სხვა არომატი, სულ სხვა ბუკეტი ექნება ასე დამზადებულ ხსნარს.

— გენიოსი, ხარ, ნიკა... როგორ მოიფიქრე ეს? — ბოკერიამ მხარზე ხელი მოუთათუნა შექებისგან ლოყებშეფაკლულ ნიკას.

— სია ჩამოვწეროთ, ბატონებო, არავინ გამოგვრჩეს, თორემ ეწყინებათ-უგულავამ კალამი მოიმარჯვა და სიის შედგენას შეუდგა.

— გუბაზი არ დაგვავიწყდეს, გიგი, თორემ გაგვებუტება და მერე მაგას რა შემოირიგებს?

— არა, კაცო, გუბაზს როგორ გამოვტოვებ, მაგის ფეკალიების იმედი მაქვს ყველაზე მეტად...

— ნიკანორ მელია ხომ შეიყვანე სიაში?

— ნიკანორი არ შემიყვანია, სროკი აქვს კაცს მისჯილი და უხერხულია ახლა ამ საქმეზეც ეგ შევაწუხო თ.

— შალვას, ხომ იცით, კუჭის შეკრულობა აქვს და მაგის მაგივრად მე ჩამწერეთ, — დაიძახა გუგავამ.

— კი, ბატონო, მაგაზე გეტყვი უარს?

— აბა, წავიკითხოთ ერთი ეგ სია, მართლა არ გამოგვრჩეს ვინმე.

გიგიმ ხმამაღლა და გამოთქმით ჩაიკითხა საკმაოდ გრძელი სია.

— რა არის ეს, გიგი? სპეციალურად გააკეთე, ხომ? — წამოიყვირა გრიგოლმა და მარჯვენა ლოყა შეუტოკდა.

— რა იყო, ბატონო გრიგოლ, რამ აღგაშფოთა ასე მწარედ? — იკითხა გიგიმ — რა არ მოგწონთ ამ სიაში?

— რას ჰქვია მომწონს-არ მომწონს... მთავარი ფიგურა გამოგრჩა, მთავარი ფიგურა.

— ვინ? მთავარი ფიგურა, რას ამბობ?

— მიშა გამოგრჩა, მიშა სააკაშვილი!

— უი, ჩემი სიკვდილი, ეს როგორ დამემართა, ეს როგორ მომივიდა, — გიგიმ ხელებში ჩარგო თავი და კარვის კუთხეში მიიყუჟა.

— კარგი, ნუ ნერვიულობ, დავურეკავ ახლავე და პირველივე

რეისს გამოატანს კონტეინერით. ხომ იცი, მაგისთანა რაღაცებზე უკან არ დაიხევს. — გრიგოლმა მობილური მოიმარჯვა და კარვიდან გავიდა.

— როდის იქნება ეს ნატურალური მასალა, ვინ დააორგანიზებს ამ საქმეს? — იკითხეს ქიმიკოსებმა — დრო უნდა, ერთ წამში კი არ კეთდება, საკმაოდ რთული პროცედურებია.

— ხვალ დილით ყველას მასალა აქ, ამ კარავში მოიყრის თავს. — განაცხადა დავითმა.

— მაშინ პრობლემა არ არის, ხუთშაბათის სხდომისთვის ხსნარი მზად იქნება. ფასში კიდევ მოვრიგდებით, ქართველები ვართ ბოლოს და ბოლოს, უცხოები ხომ არ ვართ. მართლა, ასი გრამი საკმარისია, კილოობით ნუ მოიტანთ, — ქიმიკოსები ლიდერებს დაემშვიდობდნენ და წავიდნენ.

— მაგარი რაღაც იქნება, ძმებო, „ქართულ ოცნებას“ მაგრად დაერხევა. ოცდაათი ოპოზიციური პარტიის ლიდერების გაერთიანებული ქაქის სუნს, ერთად შეზავებულ-შეკმაზულს, წინ რა დაუდგება? მთავარია, მიშას ქაქმა დროზე ჩამოგვისწროს. მაგის გარეშე ნახევარი ძალა არ ექნება.

— არა, არა, მიშას ქაქის გარეშე არაფერი გამოვა. ნუ გეშინია, ჩამოგვისწრებს. სპეცრეისიც რომ დასჭირდეს, მაინც გამოაგზავნის, ხომ იცი, მაგის ამბავი.

— ცოტა წიწაკაც რომ მოვაყაროთ?

— თინიკოს ვთხოვოთ, ბოკუჩავას, მონაწილეობა მიიღოს ამ მართლაც უმნიშვნელოვანეს საქმეში და წიწაკა არ დაგვჭირდება. თუ არადა, გვარამიას აქვს წიწაკა ბლომად მომარაგებული და მოგვცემს, რამდენსაც ვეტყვით.

— გვარამია რომ გამოგვრჩა?

— არა უშავს... გვარამიას ქაქი სად აქვს, „ვოზდუხია“ ცარიელი.

— ჰოდა, როგორც „ვოზდუხი“, გავურიოთ...

— კარგი აზრია, ეგრე ვქნათ...

●

ხუთშაბათს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში, პანიკა ატყდა — ტერაქტია, ქიმიურ-ბაქტეროლოგიური შეტევაა პარლამენტზე და თავს უშველეთო.

დარბაზში ფეკალიების აუტანელი სუნი დადგა — თითქოს საკანალიზაციო მილი გასკდა და მთელი მასა დარბაზში დაიღვარა.

— სულ 5 წუთით ტექნიკური შესვენება გამოვაცხადოთ ამასობაში ეს სუნიც გავა და მუშაობას დავუბრუნდეთო, — განაცხადა კობახიძემ.

„ხუთწუთიანი“ შესვენება თითქმის 4 საათს გაიჭიმა.

ვიღაცები ცუდად გახდნენ და სასწრაფოს გამოძახება გახდა საჭირო.

— ქიმიური შეტევა პარლამენტზე, — ასე შეფასდა მომხდარი ამბავი.

— არ ვიცი, ქიმიური შეტევაა თუ რა არის, მაგრამ ნამეტანი ძლნერის სუნი კი დგას და... — ჩაილაპარაკა ერთმა.

— ნამეტანი მეცნობა, კაცო, ეს სუნი... ნეტავ, რატომ და საიდან? — თავისთვის დუდუნებდა ერთი პარლამენტარი, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ „ნაცმოძრაობიდან“ იყო პორტირებული.

უცებ პარლამენტარმა ტაში შემოკრა და გახარებულმა ყვირილი დაიწყო: — გამახსენდა! გამახსენდა! გორთან გაუშვა სააკაშვილმა ეგეთი სუნი, თვითმფრინავი რომ დაინახა მაშინ... ჩვენიანები ყოფილან, კაცო, ჩვენიანები არიან, მოხსენით განგაში, ბატონო არჩილ, ნუ გეშინიათ, არაფერია საშიში.

გამოძიება დაიწყო.

გაირკვა, რომ სხდომათა დარბაზში ორი „შაჰიდი“ ქალბატონი შემოიპარა, რომლებმაც თავშალში შეხვეული რაღაც ნივთი შემოიტანეს. ეს სუნი დარბაზში მათი შემოსვლის შედეგ დადგა.

— მომხდარზე პასუხისმგებლობას ჩვენი ორგანიზაცია იღებს, — ამაყად განაცხადა დამწყებმა „ტერორისტმა“ რუხაძემ, რომელიც მიუხედავად იმისა, რომ ასაკით ჯერ პატარაა, იმდენად უსირცხვილოა უკვე, რომ თავის უფროს მეგობარ უსირცხვილებსაც კი გადაუჯოკრა ნაცმოდან და ევრონაცმოდან.

●

პარლამენტის შენობის ფანჯრები ორი დღე ღია იყო, რომ შენობა განიავებულიყო.

განიავება კარგია, განიავება ყველაფერს სჭირდება, მათ შორის იმათ თავებსაც, რომლებსაც პოლიტიკური ბრძოლის იარაღად ასეთი „გენიალური“ მეთოდები აქვთ არჩეული.

ᲘᲙᲚᲘᲙᲐᲜᲢᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲒᲘᲒᲘᲚᲝ ᲓᲐ ᲒᲝᲙᲐ

11 დეკემბერს, ოთხშაბათს, გიგილო უგულავა და კოტეს ბიჭი გოკა გაბაშვილი თბილისის აეროპორტში გაძუყნეს. როგორც გიგილომ უთხრა ჟურნალისტებს, ჩვეულებრივი ჩხუბი იყო, ორი კაცი ორ კაცთან ჩხუბობდა, უბრალოდ ისინი უფრო სპორტულები იყვნენო. ისაო, დაამატა კოტეევიჩმა, პოლიციამ ისინი დააკავა, არ გვეუბნებიან, ვინ იყვნენო... ჩემი ღრმა რწმენით, ან ჩვეულებრივი მტრები იყვნენ, ან კიდევ ბიძინა ივანიშვილის მოგზავნილი ხალხი იყოო. მეო, როგორც მოვლენების უზადო გამშიფრავს, მეორე ვერსიისა უფრო მჯერაო... ბიძინა ივანიშვილს ისე ეშინია ჩვენი, ხულიგნებს გვიგზავნის, რათა ფიზიკურად გაგვისწორდნენო.

აბა, წარმოიდგინეთ... ზის ბიძინა ივანიშვილი, უცებ ზანზალაკს იღებს, აწკარუნებს, შემორბიან სპორტული ტიპები, თავს უკრავენ, რას გვიბრძანებთ, ბატონოო... და ეს ეუბნება: ახლავე წადით აეროპორტში, გოკა და გიგი მიფრინავენ სადღაც, დაიჭირეთ და გაძუყნეთ, ძალიანაც ნუ გადაუვლით, ერთი-ორი პანჩური ამოარტყითო!

სხვათა შორის... უკვე წლებია, გიგი და კოტეევიჩი საეჭვოდ დაძვრებიან საეჭვო ადგილებში. რამდენიმე თვის წინ კაჭრეთში, სასტუმრო „ამბასადორში“ შევნიშნე, ხელჩაკიდებულნი შემოვიდნენ სასადილო დარბაზში. მიიხედ-მოიხედეს, მიათვალიერ-მოათვალიერეს იქაურობა, თვალი მკიდეს, გიგიმ რაღაც ჩასჩურჩულა კოტეევიჩს და ეგრევე გაშპნენ. ნუ, როგორც ჩანს, მიხვდნენ, აქ ისე არაა საქმე, როგორც უნდა იყოსო. მოგვიანებით გავიკითხე, გამოვიკითხე, ეგენი „ამბასადორში“ ხშირად „ისვენებენ“, ლამის კვირაში სამი დღე აეგრე დადიან ხელჩაკიდებულნი და „პოდრუშკგაყრილებიო“.

რა ვქნა, კაცო, კი არ ვარ ეჭვიანი, კი არ მაინტერესებს არავისი პირადი ცხოვრება, მაგრამ რაკი ესენი აეროპორტში გაძუყნეს, სიტუაციამ მოიტანა და ვიფიქრე, ხომ არ იყო ეს ჩხუბი ეჭვიანობის ნიადაგზე?!

მოგვიანებით გიგილომ დაამატა, იქით ვცემე, თან ერთი მსოფლიო ჩემპიონი ყოფილა ძიუდოში, საბა გავაშელიშვილი, ეგეთი მაგარი თუ ვიყავი, არ მეგონაო... აბა, რა გეგონათ, ჩემი გოკას ცემას ვინმეს ვაპატიებდიო? როცა გიგილო ამას ამბობდა, „ჩასინიაკებულ“ თვალებზე სათვალე ეკეთა. უფრო მოგვიანებით გიგილოს ბრალი წარუდგინეს ძალადობის მუხლით, ხოლო კოტეევიჩი ცნეს დაზარალებულად. პრინციპში, ეგ რომც არ ეცემათ, ისედაც უნდა ყოფილიყო ცნობილი დაზარალებულად თავისი წარსულიდან და აწმყოდან გამომდინარე.

გიგილოს, როგორც მოძალადეს, სასამართლომ შეუფარდა 2000-ლარიანი გირაო. პროკურატურა ითხოვდა 5000 ლარს. ასევე, სასამართლომ გადაწყვიტა, მოძალადე გიგილოს ჩამოერთვას პირადობის მოწმობა და პასპორტი. როგორც ჩანს, სამართალდამცავებს აქვთ ინფორმაცია, რომ თბილისის ყოფილი მერი აპირებს სადღაც გაპარვას, უფრორე გერმანიაში. სხვათა შორის, როდესაც ის პირველად გასკვანჩეს და მიაბრძანეს ვირის აბანოში, მაშინაც, რატომღაც მიიპარებოდა გერმანიაში, ძაან მნიშვნელოვანი შეხვედრები მაქვს დაგეგმილიო. შეხვედრები კი არა, ერთი კარგად გადაამოწმეთ, მაგას და კოტეევიჩს ბერლინში ან ბონში ბინა ხომ არ აქვთ ნაქირავები?

გინდათ, გითხრათ, რა ელოდება გიგილო უგულავას? ვინაიდან, ის ვადაზე ადრე გამოუშვეს ციხიდან, ვერ შეიფერა და ისევ დაიწყო ტრაკის თამაში, ისევე გაბანძდება, როგორც გაბანძდა ნიკანორ ანზორის ძე მელია – იქნება სამაჯურის შებმა, შემდეგ ზანზალაკის შებმა, შემდეგ საახლიდან გასვლის აკრძალვა, იძულებით ცოლის შერთვა და ზოლიანი ხალათის ჩაცმა.

ბატონო ბიძინა, კიდევ ერთხელ მოგმართავთ: სამი ფსიქიატრიულის აშენებას რომ დაგვპირდით, სად არის?!

ᲕᲐᲠᲓᲔᲜᲘ

ამას წინებზე ერთმა ახლობელმა დაბადების დღეზე დამპატიჟა. წავედი, მივუჯექი სუფრას. გავიხედე, ადამიანის მსგავსი არსება შემოგორდა, ყველა იცნობთ, ადრე ქვეყნიდან ქვეყანაში დარბოდა, მიხას რეჟიმი სდევნიდა, ახლაც ოპოზიციონერობს, ბიძინას წყალობით დაბრუნებული ყოველდღე ბიძინას არიგებს ჭკუაზე. გვარსა და სახელს არ დავწერ, არ ღირს, პირობითად ვუწოდოთ ვარდენი.

ჰოდა, მოუჯდა სუფრას ვარდენი, უცებ გაშინაურდა, თამადადაც დადგა, გრძელ-გრძელი სადღეგრძელოების თქმა დაიწყო, პოლიტიკურ-სიციალური და რამე. ცოტა რომ შეზარხოშდა, იძახის: მეო, სახლში სტუმრები რომ მომივლენ ხოლმე, სულ ვცდილობ, მათ დონეზე დავეშვა და ჩემი უპირატესობა დავმალოო. გაიგონეთ? კაცი ისეთ კვარცხლბეკზე დგას, როცა სტუმრები მიუვლენ ხოლმე, ცდილობს, ამ კვარცხლბეკიდან ჩამოვიდეს, მათ გვერდზე დაჯდეს და გაუბრალოვდეს.

ამოცანა გვეკითხება: ადამიანი, რომელიც ასე აზროვნებს, რომელსაც თავში აქვს პატივმოყვარეობა ავარდნილი, ის რანაირად გამოადგება ქვეყანას? ჩემი აზრით, ასეთი ადამიანის ფასი, გინდა ოპოზიციონერი იყოს, გინდა – პოზიციონერი, არის შაური.

მოდით, ახლა ერთმანეთს შევადაროთ ეს ნეხვი და ბიძინა ივანიშვილი, რომლის წყალობითაც სახლში დაბრუნდა და რომელსაც ყოველ საღამოს ლანძღავს ტელევიზორში. აბა, მითხარით, ოდესმე თუ გაგიგონიათ, ივანიშვილს სადმე ეთქვას, მავანი და მავანი მე გადავარჩინე, მე რომ არ გამეშვა საკაშვილის რეჟიმი, ვერც ციხეებიდან გამოვიდოდნენ, ვერც თავიანთ სახლებში დაბრუნდებოდნენო? არა, ასეთ ფაქტს ვერ გაიხსენებთ, ასეთი რამ არასოდეს უთქვამს და იმიტომ. მაშინ ის მითხარით, ივანიშვილისგან ოდესმე თუ გაგიგონიათ, სახლში სტუმრები რომ მომდიან, ვცდილობ, მათ დონეზე დავეშვა, რათა ჩემი უპირატესობა არ ვაგრძნობინოო? არა, ასეთი რამ არ არსებობს, ის ამას არ იტყვის, არც კი გაიფიქრებს. აი, ვარდენი კი იტყვის და გაიფიქრებს კიდეც... და როცა გაიფიქრებს, სუფრასთანაც წაიტრაბახებს. მერე გამოვა ვარდენი ტელევიზორში და დაიწყებს, ეს ხელისუფლება არ მომწონს, ბიძინა ივანიშვილი ასეთი და ისეთია, ქვეყნიდან უნდა გავისტუმროთო. არ გამოვა მაი ამბავი, რადგან ამ ქვეყანაში ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინ ამბობს, რას ამბობს და როგორი წარსულის მქონე ადამიანი ამბობს.

იცით, ამ ქვეყნის ყველაზე დიდი უბედურება რა არის? აქ ადამიანები ქმნიან კვარცხლბეკებს, ადიან, დგანან და ჰგონიათ, რომ ეს არის ერის მიერ ბოძებული დიდება. სინამდვილეში კი ეს უბრალო ილუზიაა, რომელიც შარშანდელი თოვლივით ქრება. ჰოდა, ამ ილუზიაშია გაბლანდული ჩვენებური ვარდენიც, თავი კიტრი რომ ჰგონია.

ᲒᲔᲚᲐ ᲖᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ
555 48 48 61

კონსერვატორებმა ლეიბორისტები დაანოკაუტეს

„ნისლიან ალბიონზე“ ღრუბელი გაიფანტა, მაგრამ პოლიტიკურად სრულ გამოდარებამდე საუბარი ნაადრევია. ასე მიაჩნიათ ევროპელ პოლიტოლოგებს. გასულ კვირას დიდ ბრიტანეთში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გაიმართა, რომელიც ბოლო 4 წლის მანძილზე მესამე იყო. თავისთავად, არჩევნები ნებისმიერი ქვეყნისთვის ყოველთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა. სწორედ აქ უნდა გადაწყვეტილიყო, გაერთიანებული სამეფოს მომავალი რომელ გზას აირჩევდა დარჩებოდა ევროკავშირში თუ დატოვებდა ორგანიზაციას.

წინასაარჩევნო კამპანია კონსერვატიული პარტიის ლიდერმა და მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა ბორის ჯონსონმა მისთვის ჩვეულ სტილში, არაორდინარულად წარმართა. ეხმარებოდა მტვირთავებს, მიდიოდა სხვადასხვა საწარმოებში... პოლიტიკურ დებატებში ამტკიცებდა „ბრექსიტის“ აუცილებლობას. ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჯერემი კორბინი, თავდაპირველად „ბრექსიტის“ განხორციელებას, ევროკავშირთან შეთანხმებით, საკუთარი ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებით ემხრობოდა. თუმცა, არჩევნების წინ აზრი შეიცვალა და ევროკავშირიდან გასვლას ეწინააღმდეგებოდა. ექსპერტების შეფასებით, ასეთმა მერყეობამ დააბნია მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ ბორის ჯონსონი ბრიტანული პრესის მხრიდანაც განიცდიდა ზეწოლას. აკრიტიკებდნენ თითქმის ყველა მსხვილი გამოცემები თუ წამყვანი ტელევიზიები.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დიდ ბრიტანეთში ყველასთვის მოულოდნელი კი არა, წარმოუდგენელი შედეგით დასრულდა. კონსერვატიულმა პარტიამ წარმომადგენლობით პალატაში 365 ადგილი მიიღო, ხოლო ლეიბორისტულმა 193. ამიტომაც განაცხადეს ექსპერტებმა არჩევნების დასრულების შემდეგ — „კონსერვატორებმა ლეიბორისტები დაანოკაუტეს“. არჩევნებში წარმატება ბორის ჯონსონისთვის ორმაგად სასიხარულოა. სწორედ ჯონსონი იყო „ბრექსიტის“ ერთ-ერთი ძირითადი ინიციატორი. თუმცა, თავადაც არ სჯეროდა „ბრექსიტის“ განხორციელება, მით უფრო არჩევნებში ასეთი უპირატესობით გამარჯვება. პარლამენტში მოპოვებული უმრავლესობის წყალობით, ახლა ჯონსონს უპრობლემოდ შეუძლია განახორციელოს „ბრექსიტი“, ანუ ქვეყანამ დატოვოს ევროკავშირი. პოლიტოლოგები განსაკუთრებით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მსგავსი წარმატება არჩევნებში კონსერვატორებს მარგარეტ ტეტჩერის შემდეგ (რომელიც 1980 წლიდან თითქმის 15 წელი გახლდათ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი და ისტორიაში „რკინის ლედის“ სახელით შევიდა) არ ჰქონიათ. რაც შეეხება ლეიბორისტებს ასეთი წარუმატებლობა, შეიძლება ითქვას კრახი, თითქმის 85 წლის მანძილზე არ განუცდიათ. ამიტომაც დაანონსა ჯერემი კორბინმა, რომ გადადგება პარტიის ხელმძღვანელის პოსტიდან.

არჩევნების გამოცხადების შემდეგ ბორის ჯონსონი გაერთიანებული სამეფოს დედოფალს, ელიზაბეტ II-ს ეახლა და მისგან მიიღო ნებართვა დააკომპლექტოს მთავრობის შემადგენლობა. ჯონსონის განცხადებით, დიდი ბრიტანეთი 2020 წლის 31 იანვრამდე აუცილებლად დატოვებს ევროკავშირს. არჩევნების მიმდინარეობას და შედეგებს მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოება ყურადღებით აკვირდებოდა. ევროპის ქვეყნების ლიდერები ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლნენ. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი მიესალმა ბორის ჯონსონის გამარჯვებას და განაცხადა „...ახლა „ბრექსიტის“ განხორციელების შემდეგ შესაძლებელი იქნება ურთიერთსასარგებლო ფართო ხელშეკრულების გაფორმება დიდ ბრიტანეთთან“.

მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები დასრულდა და საკანონმდებლო ორგანოში ადგილები განაწილდა, პოლიტოლოგები ბრიტანეთში პოლიტიკურ ვითარებას ბუნდოვნად მიიჩნევენ. საფუძველს მათ გაერთიანებულ სამეფოში არსებული შიდა პოლიტიკური ვითარება აძლევთ. შოტლანდიელებმა ბრიტანეთის პარლამენტში ბოლო არჩევნების შედეგად გაამყარეს პოზიციები. შოტლანდიელები უკვე დამოუკიდებლობის მოთხოვნით განმეორებით რეფერენდუმის ჩატარებაზე ალაპარაკდნენ. მათი პოლიტიკოსების განცხადებით შოტლანდიას სურს საკუთარი ქვეყნის ბედი თავადვე გადაწყვიტოს. ასევე ალაპარაკდნენ გაყოფილი ირლანდიის გაერთიანებაზე. გაურკვეველია, რით დასრულდება ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება და საერთოდაც, როგორ გაგრძელდება საერთაშორისო ორგანიზაციის და ბრიტანეთის პოლიტიკური ურთიერთობა. ექსპერტები შიშობენ „ბრექსიტმა“ შესაძლოა გაერთიანებული სამეფოს რღვევა გამოიწვიოს. ვერავინ, მათ შორის ოპტიმისტი პოლიტოლოგებიც ვერ პროგნოზირებენ, როგორ ჩატარდება ბრიტანეთში არჩევნები 5 წლის შემდეგ.

სენსაცია და რაიმე ძირეული გარღვევა არ მოყოლია ე.წ. ნორმანდის ფორმატით შეხვედრას. შეგახსენებთ, აღნიშნული ფორმატი უკრაინის პრობლემის მოგვარებას ემსახურება, რომელშიც უკრაინის, გერმანიის, საფრანგეთის და რუსეთის პირველი პირები მონაწილეობენ. ბოლოს, მსგავსი შეხვედრა 3,5 წლის წინ გაიმართა. მას შემდეგ უკრაინაში და საფრანგეთში პრეზიდენტები შეიცვალნენ. ამჯერად სამიტს პარიზი მასპინძლობდა.

ოთხმხრივი შეხვედრა თითქმის 7 საათს გაგრძელდა. პარიზში შეთანხმდნენ, რომ ამ წლის ბოლომდე უკრაინაში კონფლიქტში მონაწილე მხარეები დაუყოვნებლივ შეწყვეტენ ცეცხლს, უპირობოდ გაცვლიან ტყვეებს ყველას ყველაზე და მოხდება შეიარაღებული ფორმირებების დაშორიშორება. მომდევნო შეხვედრა 4 თვის შემდეგ გერმანიაში გაიმართება. თუმცა, შედგება თუ არა გაისად შეხვედრა უცნობია. რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი მინსკის ხელშეკრულების უპირობო შესრულებას ითხოვს (მემორანდუმი თითქმის 4 წლის წინ გაფორმდა, რომელსაც ხელი უკრაინის ყოფილმა პრეზიდენტმა პეტრო პოროშენკომაც მოაწერა და რატიფიცირებულია გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოში), მას ეთანხმებიან გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და ემანუელ მაკრონი.

პარიზში შეხვედრა უკრაინის პრეზიდენტისთვის დებიუტი იყო. ექსპერტების შეფასებით, ზელენსკიმ გამოცდილება შეიძინა. იმასაც აღნიშნავენ, რომ ზელენსკი რადიკალი ნაციონალების ზეწოლას განიცდის ქვეყნის შიგნით, ფაქტიურად შეზღუდული აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღება. ექსპერტების ნაწილი ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ნორმანდის ფორმატში შეხვედრას მნიშვნელოვან მოვლენად მიიჩნევენ. თუმცა, იმასაც ამბობენ, ვლადიმირ ზელენსკი პრეზიდენტად კი აირჩიეს, მაგრამ პრეზიდენტად და პოლიტიკოსად ჯერ ვერ შედგა, კვლავ დილეტანტი დარჩა. მომავალი გვიჩვენებს თუ შედგება ზელენსკი პოლიტიკოსად და შეძლებს თუ არა არსებული პრობლემის მოგვარებას, მშვიდობის დამყარებას ქვეყნის შიგნით.

პარიზიდან ვაშინგტონში გაემგზავრა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. აშშ-ი მხოლოდ ერთი დღით იყო ჩასული რუსეთის პირველი დიპლომატი. მისი ბლიც-ვიზიტი მოულოდნელი აღმოჩნდა როგორც ამერიკელი ჟურნალისტებისთვის, ასევე დემოკრატი კონგრესმენებისთვისაც. ვაშინგტონში ლავროვი შეხვდა თავის ამერიკელ კოლეგას მაიკლ პომპეოს. ორმხრივი შეხვედრა დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობდა, მხოლოდ ვარაუდი შეიძლება თუ რა თემებზე ექნებოდათ დიპლომატებს საუბარი. ერთი კი გახდა ცნობილი, პომპეოს მართებულად მიაჩნია რუსეთისთვის დაწესებული სანქციები. თუმცა, ამერიკელი ეკონომისტების ინფორმაციით, ბოლო 2 წელში აშშ-რუსეთს შორის ვაჭრობა 25%-ით გაიზარდა.

სახელმწიფო დეპარტამენტიდან სერგეი ლავროვი თეთრ სახლში მივიდა, სადაც დონალდ ტრამპთან გამართა შეხვედრა. აღსანიშნავია, რომ ოვალურ კაბინეტში ლავროვი 2,5 წელი არ მიუღიათ. თეთრ სახლში ვიზიტი ასევე დახურული იყო. დონალდ ტრამპის და ლავროვის შეხვედრის ამსახველი მხოლოდ ერთი ფოტო გავრცელდა. პირისპირ დიალოგი 45 წუთი გრძელდებოდა. შეხვედრის დასრულების შემდეგ დონალდ ტრამპმა თავის ტვიტერზე დაწერა „...ლავროვთან კარგი შეხვედრა გვქონდა, ბევრ საკითხზე ვისაუბრეთ... იმედს ვიტოვებთ, რუსეთის მხარესთან უახლოეს მომავალში კვლავ გავაგრძელებთ დიალოგს“.

დემოკრატმა კონგრესმენებმა ლავროვის აშშ-ი ვიზიტს და დონალდ ტრამპთან შეხვედრას საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს. დაზვერვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ადამ შიფმა რუსეთის პროპაგანდის გამარჯვებად შეაფასა. ზოგიერთმა ისიც კი იკადრა ტრამპმა კურატორს ანგარიში ჩააბარაო. თუმცა, მათი ქმედება გასაოცარი არც არის, რადგან დემოკრატები იმპიჩმენტის განსახორციელებლად ყველაფერზე მიდიან. მათი გაცოფება იმ გარემოებამაც გამოიწვია, რომ დონალდ ტრამპმა სახელმწიფო დეპარტამენტს განსაკუთრებული დავალება მისცა — დაიწყონ მუშაობა აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამის გარდა, ტრამპის პირადმა ადვოკატმა რუდი ჯულიანიმ უკრაინიდან საკმაოდ ბევრი მასალა ჩაიტანა აშშ-ი დემოკრატების საწინააღმდეგოდ, რომელსაც ჯერ არავინ იცნობს. თუმცა 2 დღის წინ გააკეთა განცხადება: „...იმპიჩმენტი დემოკრატებს თავიანთი კორუფციული სქემების გადასაფარად სჭირდებათ, რომელსაც უკრაინაში და სხვა ქვეყნებში ახორციელებენ“, — განაცხადა ჯულიანიმ.

სირიაში საბრძოლო მოქმედების და რუსეთისგან ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარების შეძენისთვის თურქეთის აშშ-ს სენატმა შესაძლოა თურქეთს სანქციები დაუწესოს. ამის საპასუხოდ პრეზიდენტმა რეჯეფ ტაიფ ერდოღანი ორი დღის წინ თავის მხრივ დაემუქრა აშშ-ს „...თუ ჩვენ დაგვიწესებენ სანქციებს, ასეთ შემთხვევაში, აშშ-ისთვის დავხურავთ ინჯირლიკის საავიაციო სამხედრო ბაზას, ასევე იმ სამხედრო ბაზებსაც, სადაც განთავსებულია აშშ-ს ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები“, — განაცხადა ერდოღანმა. როგორც ჩანს ნატოს წევრ და მოკავშირე ქვეყნებს შორის ურთიერთობა იძაბება, რასაც, შესაძლოა, მსოფლიოში დიდი რყევები მოჰყვეს. თუმცა ვნახოთ, იმედია დიპლომატებს თავიანთი რესურსი ჯერ არ ამოუწურავთ.

გია ბურდული
551 71 27 07

თეთრკანიანი ადამიანების რასა საქართველოში გაჩნდა, პირველი ევროპული სახელმწიფოც ევროპის კონტინენტზე ქართველებმა დააფუძნეს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მკვლევარი კახაბერ ჟილლაძე

(დასასრული. დასაწყისი. იხ. „საერთო გაზეთი“ N43)

— სხვა ერები და ხალხები გამრავლდებიან თუ არა, ეს ნაკლებად მოქმედებს ცივილიზაციასა და კულტურულ სამყაროზე. ყველას არ აქვს სულიერება. ცხოველებიც დადიან, მოძრაობენ და კომუნიკაციაც აქვთ ერთმანეთში, მაგრამ მათ არ ჰქვიათ მოაზროვნე, როგორც ადამიანს, როგორც ჰომო შაპიენს-ს, როგორც ადამის მოდგმას.

— ანუ ვინაა ადამის მოდგმის ხალხი?

— ისინი, ვინც მიჰყვებიან ადამიანურ ცხოვრებას, მოაზროვნები, რომლებიც სულიერებას აყენებენ მაღალ დონეზე და არა კუჭზე დამყარებული ხალხი, ანუ ადამიანები, რომლებიც, ვთქვათ, სტეპებში დარბიან, დღემდე უმი ხორცით იკვებებიან, ან ჭამენ მწერებს და მატლებს, სვამენ ცხენის რძეს და აქლემის რძეს, სვამენ ცხოველების სისხლს და აბსოლუტურად არავითარი სულიერი, ანუ ადამიანური, ადამისეული ცხოვრება არ აქვთ.

— ე.ი. ჩვენ ვართ დედამიწის სულიერი ხალხი?

— მოდი, კვლავ შუმერიდან დავიწყებ. ყველამ ვიცით კრამერის წიგნის — „შუმერების“ შესახებ, სადაც შუმერი ამბობს: მე ღმერთმა ჩამომასახლა ოთხი ქარის ქვეყანაში, ანუ შუამდინარეთში, იმიტომ რომ, გავაადამიანურო ველური მართუ. მართუს ეძახის სემიტ ხალხს, რომლებიც მათგან დასავლეთით, უდაბნოში ცხოვრობენ. მართუ დაეხეტება ყველგან, არ იცის ხორცის შეწვა, არ მარხავს მკვდარს, — ამბობს შუმერი. გუთებზე, იგივე მონღოლებზე და მსგავს ხალხზე კი ამბობს, რომ მათ სწავლებას აზრი არ აქვს, რადგან ისეთი ველურები არიან, საერთოდ ვერაფერს ვაგებინებთო. ანუ კულტურული სამყაროსთვის ისინი არაფერს ნიშნავდნენ. წიგნში კონკრეტულად არის გამოყოფილი კულტურული, შემქმნელი ხალხი და მონადირე-მტაცებლები.

დღემდე ცხოვრობენ ციმბირის სტეპებში ველური ადამიანები, რომლებსაც არავითარი სულიერ-კულტურული შესაძლებლობები არ აქვთ. მაგრამ, მოდით, დავუბრუნდეთ თქვენ შეკითხვას. ბევრი ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ შუმერი კავკასიიდან არის წასული. თვით შუმერები ამბობენ: კავკასია არის ის უწმინდესი ადგილი, სადაც ხის მოჭრაც კი არ შეიძლებაო. ხაშურს უწოდებს შუმერი ჩვენს ტერიტორიას. ბევრი ნაშრომია ამის შესახებ და ამ კუთხით აღარ დავკონკრეტდები.

ეგვიპტის ფარაონები თოთი და ოსირისი, რომლებიც არ იყვნენ ეგვიპტელები, ეგვიპტის ხალხს ასწავლეს წერა-კითხვა, ვენახის მოყვანა და ა.შ. სავარაუდოდ, ეს ფარაონები კავკასიური წარმოშობის იყვნენ.

ამირანიც, რომელმაც ცეცხლი, ანუ განათლება მისცა მსოფლიოს და მას, მერე, ბერძნებმა პრომეთე უწოდეს კავკასიონის მთასთანაა დაკავშირებული და ქართული ეპოსის მთავარი ფიგურაა. თუნდაც ყოველივე ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ განათლება და ცივილიზაცია კავკასიიდან არის გასული მსოფლიოში. იბერიული ტომები გადიოდნენ ამ ტერიტორიიდან, ასწავლიდნენ სხვა ხალხებს, როგორ უნდა ეცხოვრათ. ასე ხდებოდა თვით ბრიტანეთის კუნძულებამდე. ამერიკის კონტინენტზე იბერების გადასვლა ერთგვარი მოვალეობა იყო, როგორც შუმერი ამბობს: ღმერთმა გადმოგვასახლა, რომ ეს ველურები გავაადამიანუროთო. თვით ამირანი იაფეტის ძედაა მოხსენიებული. იაფეტის ძენი ჩვენ ვართ — ქართველები. ცივილიზაცია, ცეცხლი, განათლება, ცოდნა, კავკასიიდან არის გასული ყველგან პურს, ხორბალს და ღვინოს რომ თავი დავანებოთ. განათლების გატანა მსოფლიოში ეს ჩვენი მოღვაწეობა იყო.

ბოლოს და ბოლოს, მსოფლიო სიბნელეში რომ იყო ჩაძირული, ჩვენ ქალი ვაღიარეთ მეფედ. სიკვდილით დასჯა ავკრძალეთ და ავაღორძინეთ უმაღლესი კულტურული დონე მთელ მაშინდელ მსოფლიოში.

შოთა რუსთაველზე აღარაფერს ვიტყვი — ეს უნიკალური მოვლენაა 21-ე საუკუნეშიც კი, მაგრამ რა გვაქვს დღეს? განვითარდა მსოფლიო, მიაღწია ცივილიზაციის მწვერვალებს და სად არის ჩვენი დანიშნულება? — მკითხავს მავანი. საქმე იმაშია, რომ დღევანდელ ცივილიზაციაში ცათამბეჯენები, ზემდგრადი მინა, წყალგამძლე ბეტონი, რაზეც არის დამყარებული კაცობრიობის ცხოვრების დონე, ყველაფერი ქართველების გამოგონების წყალობითაა. თვით ცემენტი ქართველმა გამოიგონა, მათგან ერთი რუსეთში მოღვაწეობდა, ნაპოლეონის მიერ გადამწვარი მოსკოვი მისი აღდგენილი და დაპროექტებულია. ეს კაცი გახლდათ ცნობილი გრიგოლ ჭელიძე, იგივე გრიგორი ჭელიევი.

ამერიკის ლეგენდა გრიგოლ კობახიძე, იგივე გრიგოლ კობი, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში „ფორბსის“ სათავეში იდგა. მილიარდერი, ფირმა „კობის“ დამაარსებელი. კობი, ეს შობაა, — ამბობენ ამერიკაში. ნაძვის ხის სათამაშოები მისი წარმოების ექსკლუზივია ყველა დროში.

დღესდღეობით, პირადად მე, ველოდები დროს, როცა მთელი მსოფლიო აღიარებს ქართულ ანბანს ყველაფრის დასაწყისად.

— ანუ ლეგენდარული თემა ქართული ენის ზებუნებრიობის, ღვთისგან ბოძებულობის შესახებ შეიძლება რეალური იყოს?

— ქართული ანბანი არ არის ადამიანის ხელით შექმნილი. ანბანის საწყისები, მატრიცა, აგებულება და დნმ-ის აგებულება ზუსტად ერთი და იგივეა. ეს მეცნიერების მიერ უკვე დამტკიცებული და დადასტურებულია.

მსოფლიოში სხვა არც ერთი ანბანი ასეთი აგებულების არაა.

მაგალითად, შოთა რუსთაველს ზუსტად იგივე მატრიცაზე აქვს აგებული „ვეფხისტყაოსანი“ — ყოველი სტროფი 64 მარცვალია, ჩვენს დნმ-ში კი არის 64 კოდონი, რომელიც ქმნის ამინომჟავებს, რომლებიც წარმოშობენ სიცოცხლისთვის აუცილებელ ვიტამინებს, ადამიანის ორგანიზმის მკვებავ ნივთიერებებს. ენა, ზოგადად, ისეთია, როგორც ცოცხალი ორგანიზმი.

რაც შეეხება ჩვენს „ვეფხისტყაოსანს“. შოთას არ ჰქონდა თანამედროვე მიკროსკოპი და არ შეეძლო ენახა დნმ და უჯრედები, თუმცა მან თავისი პოემის სტრიქონები ადამიანის დნმ-ის კოდონებს დაამთხვია.

როგორც ჩანს, სამყაროში არსებობს სტრუქტურა, რომელზეც იქმნება სიცოცხლე, ენა და ადამიანების არსებობა, საერთოდ.

— ეს ყველაფერი რა ძალას, რა გონებას შეიძლებოდა შეექმნა?

— ადამიანის გონებას ასეთი კოლოსალური შესაძლებლობები არ აქვს. ასეთი რამ შეიძლებოდა შეექმნა, ალბათ, იმას, „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“.

ადამიანის დნმ-ი ოთხ აზოტოვან ფუძეზეა აგებული. წარმოიდგინეთ, რაც შეუძლია კომპიუტერს, მინიმუმ, სამჯერ მეტი შეუძლია ადამიანის გონებას, ანუ თვითონ ადამიანი შექმნილია ისეთი ძალისგან, რომლის წარმოდგენა ჩვენს

ამირანი

გონებას უკვე აღარ შეუძლია.

დღეს ჩვენ ვიმყოფებით სამგანზომილებიან სამყაროში, მაგრამ ადამიანი იმითაცაა უნიკალური, რომ მას შეუძლია აღიქვას მეოთხე განზომილებაც.

სულხან-საბა ამბობს, რომ არსებობს ცხრა ცა, რის იქითაც არის უზენაესის სამყოფელი.

ადამიანები ჯერ საკმაოდ შორს ვართ იქამდე, რომ ღმერთი შევიცნოთ, დავინახოთ ან შევიგრძნოთ. მრავალმხრივი გონებრივი განვითარება გვჭირდება და რაც მთავარია, როგორც ამბობენ, ჯერ ცხრა ცა უნდა გავიაროთ.

— ზემოთ განდობილებზე საუბრობდით. განდობილები რა ნიშნით ირჩეოდა, ვისგან და რა სახის ინფორმაციებს იღებდნენ ისინი?

— განდობილებს მიეწოდებოდათ ის ინფორმაციები, რაც იმდროინდელი სამყაროსთვის გამოსადეგი და საჭირო იყო დედამიწაზე ადამიანის არსებობის გარკვეული ეტაპის გადალახვაში დასახმარებლად.

მაგალითად, ხევსური განდობილი მგელიკა ლიქოკელი ტრეპანაციას რომ აკეთებდა და ჭრილობებს ჟიპიტაურით ამუშავებდა ნარკოზის გარეშე, ჰიპნოზის საშუალებით, ეს იყო ადამიანის ფიზიკური გადარჩენის ახალი ეტაპისთვის მოშზადება ამ სამყაროში.

— ლიქოკელის ჰიპნოზი მართლაც სასწაულია.

— დიახ. ავადმყოფს თვალგახელილს უტარდებოდა ტრეპანაცია და თავის ქალის სხვა ოპერაციები ისე, რომ ოპერაციის მიმდინარეობის 4–5 სააათის განმავლობაში, ავადმყოფი არც კი წამოიკვნესებდა, რადგან ვერ გრძნობდა ტკივილს. ასეთი პრეცედენტი მსოფლიოში არ არსებობს.

გარკვეული დროის მერე თავად გურჯიევმაც, ცოდნა და განათლება, საქართველოში მიიღო. გიორგი გურჯიევი და სტალინი სასულიერო სემინარიაში ერთად სწავლობდნენ. მერე იყრება მათი გზები, გურჯიევი ჰიტლერთან ხვდება და მისი მითითებით ქმნის, სხვათა შორის, სვასტიკას.

მოკლედ, საქართველოში დიდი და დაფარული ცოდნა ინახებოდა და ინახება და ეს იციან გარკვეულმა ძალებმა.

ქართული დნმ-ის მხოლოდ 3–4 პროცენტია გამოკვლეული. გვაქვს უამრავი გენი, რომელიც ჯერჯერობით გამორთულია, და რაც ყველაზე საინტერესოა, ჩვენ გვაქვს რეგენერაციის გენი. დღეს ეს ბევრს უტოპია ჰგონია, მაგრამ ეს სინამდვილეა. როგორც, მაგალითად, ხვლიკს კუდი ძვრება და მერე ისევ ამოსდის, ასეა ადამიანიც. ჩვენ ბევრი უნიკალური შესაძლებლობა გვაქვს, მაგრამ, ჯერჯერობით, ვერ ვფლობთ ამ შესაძლებლობებს.

ბიბლიაში წერია, რომ ადამიანები 300–600–900 წელი ცოცხლობდნენ, მერე ჩვენი სიცოცხლის



გუდანის ჯვრის პეტროგლიფი



ხანგრძლივობა 120 წლით დაისაზღვრა, გენურად მოხდა ყველაფერი.

მალე ადამიანი, ალბათ, თავად მიაღწევს ისეთ შესაძლებლობას, რომ თავად განსაზღვრავს სიცოცხლის ხანგრძლივობას.

მოგეხსენებათ, ჩვენს უჯრედებს აქვს 50-ჯერ გამრავლების საშუალება. ამის შემდეგ ქრომოსომები უძლურდება და გამრავლების უნარს კარგავს. თუ შევძლებთ და შეიქმნება სპეციალური საშუალება, ეს უჯრედები 50-ჯერ კი არა, 150-ჯერ გამრავლდნენ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა გასამმაგდება.

ასეთ რამეებს აკეთებდნენ ადრე განდობილები, ასეთები იყვნენ მითოლოგიური ნახევრადღმერთები, ეგვიპტის ფარაონები, რომლებიც, 60–70 წელი მეფობდნენ მაშინ, როცა ჩვეულებრივი ეგვიპტელების სიცოცხლის ხანგრძლივობა 25 წელიწადი იყო, ანუ არსებობდა ცოდნა, რითაც იხანგრძლივებდნენ სიცოცხლეს. აი, ეს ცოდნა იყო კავკასიაში, ეს ცოდნა გავიდა მთელ დედამიწაზე მსოფლიოში საქართველოდან — ქართული გონიდან, რაც დღეს, სამწუხაროდ, მიტოვებული, მიარის, რეკლამირება რომ გავუწიო. ეს არის უცხოელი გრაფის ჩანაწერები. წაიკითხეთ, გაგაკვირვებთ და გაგაოგნებთ იქ მოცემული ინფორმაციები და ირწმუნებთ ჩემს ვარაუდებს. ამ წიგნში აღწერილი ეპიფიზი და ჰიპოფიზი 1980-იან წლებში აღმოაჩინეს და დაამტკიცეს მეცნიერებმა, ხოლო რაზეა თავის ტვინში ეს ჯირკვლები პასუხისმგებელი, ჯერჯერობით დადგენილიც არ არის.

ვალევსკის ჩანაწერებში, რომელიც სვანეთში განდობილების ინფორმაციებზე დაყრდნობითაა შედგენილი, ზუსტად არის აღწერილი გირჩისებრი ჯირკვალი, რისთვისაა საჭირო და როგორ უნდა გააქტიურდეს იგი.

— ამდენი ცოდნა დაგიგროვებიათ და თუ იყენებთ ცხოვრებაში?

— ძალიან ძნელია მიჰყვე იმ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების სიღრმეში შექმნეს, შეისწავლეს, გამოსცადეს და გამოიარეს.

მე, მაგალითად, ჩემი გვარის და გენის შესწავლის შედეგად დავადგინე — იმის გარდა, რომ ჩემი გვარი ზემო იმერეთიდან, კერძოდ, ჭიათურიდან, სოფელი ზოდიდან

ვიწყებული და უპატივცემულოდ გამოუყენებელია.

— შეიძლება ამ ცოდნას ვინმე ფლობდეს საქართველოში?

— როგორ არა! რა თქმა უნდა, დიდი ალბათობაა, რომ არსებობდნენ ასეთი ადამიანები და ისეთი ცოდნა, რომელიც ათასწლეულების განმავლობაში არსებობდა და გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ეს არ შეიძლება იყოს დაკარგული. თუნდაც ვალევსკის ნაშრომზე დაყრდნობით თუ ვიმსჯელებთ, დაფარული ცოდნა 1920 წლამდე მოსულა და ახლა სად დაქრებოდა?!

ვალევსკის ნაშრომი „კავკასური იოგა" ჩემი დაწერილი არ არის, გენეტიკური კვლევით, ჰაპლოჯგუფი **BC2A**-ს ვეკუთვნი და ჩემი ჰაპლოტიპი, ანუ გენი, 10 000 წლის წინ ჩამოყალიბებულა დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, ანუ იქ უწყვეტად ცხოვრობდნენ ადამიანები, რომელთა გენი დღემდე გრძელდება.

დასკვნის სახით კი კვლავ გავიმეორებ: საქართველო უნიკალური ფენომენია, როგორც ტერიტორიულად, ისე ადამიანური რესურსით და ეს თითოეულმა ქართველმა კარგად უნდა გაიაზროს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საქართველოს გენერალურ პროკურატურას

ბატონებო!

კომპანია „მუშკეტერი" 2017 წლის იანვრიდან აგვისტომდე პერიოდულად ახორციელებდა ბანკიდან სესხის სახით აღებული თანხების ჩადებას კომპანია „ქართული რითეილის" კომერციულ საქმიანობაში. ამ პერიოდში კომპანია „მუშკეტერის" მიერ იქნა კომპანია „რითეილის" სავაჭრო დანადგარების რეესტრში უზრუნველყოფის სახით ჩადება. აგვისტოს თვეში, „რითეილმა" ფინანსური ვალდებულებების (210 000 ლარი) სანაცვლოდ თავისი სავაჭრო დანადგარების ნაწილი 17.08. 2017 წელს დადებული ხელშეკრულებით შპს „მუშკეტერს" გადასცა.

2017 წლის სექტემბერში ჩემს ქონებას უკანონოდ დაეუფლა შპს „შხელდა" და სს„ უალინგ ინტერნაციონალ სპეციალ ეკონომიც ზონე.შპს„ მუშკეტერმა" სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. მოსამართლე გიორგი გოგიჩაშვილის 2017 წლის 27 ნოემბრის განჩინებით, საქმეზე №2/32478–17, გამოყენებული იქნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და შპს„ შხელდას" და სს„ **Hualing internacional special ekonomic zone**"-ს აეკრძალათ მათ საკუთრებაში არსებულ კომერციულ ფართებში განთავსებული შპს„ მუშკეტერის" კუთვნილი მოძრავი ნივთების გასხვისება, დაგირავება, გაქირავება და მესამე პირზე ნებისმიერი სახით გადაცემა. აღმასრულებელის მიერ მოხდა გაფრთხილება, როგორც შპს„ შხელდა"-ს ასევე სს„ **Hualing internacional special ekonomic zone**"-ს ხელმძღვანელობა/ წარმომადგენლების, სასამართლო განჩინების მოთხოვნათა დარღვევის შემთხვევაში შესაძლო პასუხისმგებლობის თაობაზე.

სასამართლო განხილვის ეტაპებზე, შპს „შხელდას" მიერ წარდგენილმა დოკუმენტებმა ცხადჰყო, რომ საქმე გვქონდა არა სამოქალაქო დავასთან, არამედ სისხლის სამართლის საქმესთან და დამნაშავეებთან. 2018 წლის 16 იანვარს წერილობით მივმართე საქართველოს მთავარ პროკურატურას, აღეძრათ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულებრივი ჯგუფის უკანონო ქმედებებზე. სამწუხაროდ, კანონის შესრულებაზე ზედამხედველი ორგანოს — პროკურატურის მხრიდან ჩემს, ანუ ბესიკ მიქავას კანონიერ მოთხოვნებზე, არ მომხდარა ადექვატური რეაგირება. უფრო მეტიც, რეაგირება საერთოდ არ მომხდარა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის სახით ჩადენილ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ საქმეზე. რაც შეეხება ქონების უკანონო მითვისებისა და ფინანსური სახის დანაშაულის კუთხით განცხადებას ის შესასწავლად გადაეგზავნა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. საქართველოს მთავარ პროკურატურაში განცხადების შეტანიდან თითქმის სამი თვის შემდეგ, წერილობით მივიღეთ არა პროკურატურის ოფიციალური წერილი, არამედ რიგითი გამომძიებლის, ვინმე მერაბ ფურცელიანის „ვერდიქტი" იმის თაობაზე, რომ ბატონმა გამომძიებელმა ჩათვალა, წარმოდგენილ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებში მოყვანილი ფაქტები არ შეიცავდა სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს. შესაბამისად, არ მოხდებოდა წინასწარი გამოძიება და სისხლის სამართლებრივი დევნის დაწყება. ამ დროს საქმეში იდო დოკუმენტი, სადაც კომპანია „შხელდა" აცხადებს, რომ მან 71 ათასი ლარის „მუშკეტერის" ქონება გაყიდა ზედნადებისა და ანგარიშფაქტურის გარეშე (ეს უკვე ერთი დანაშაული), და მეორე დანაშაული, რომ მან არ გადაიხადა სახელმწიფო გადასახადი, ანუ დღგ 12 000 ლარი. სამაგიეროდ კომპანია „მუშკეტერი" ყოველ წელიწადს იხდის იმ ქონების გადასახადს, რომლითაც დღემდე სარგებლობს კომპანია „შხელდა" და იღებს უკანონო მოგებას. ეს დასმართლოში, როდესაც სასწრაფოდ ბატონი ირაკლი გულდედავა იქნა გადაყვანილი პროკურატურიდან პოლიციაში. საქმის გამოძიების მსვლელობისას მრავალჯერ მქონდა მცდელობა შევხვედროდი გლდანი-ნაძალადევის მთავარ პროკურორს, დავით ჩხარტიშვილს. მოვუწყვე მას საპროტესტო აქციები მის კაბინეტთან, მაგრამ უშედეგოდ. პროკურორი აშკარად უარს ამბოდა შეხვედრაზე, ხან კი მემალებოდა კაბინეტში. აქედან გამომდინარე, დავასკვენი, რომ გლდანი-ნაძალადევის პროკურორი დავით ჩხარტიშვილი ან კორუფციულ გარიგებაშია დამნაშავეებთან, ან ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. მივმართავ შესაბამის ორგანოებს, სახელმწიფო კონტროლის აპარატს, რომ ეს საკითხი იქნეს დროულად გამოძიებული და შესწავლილი იყოს და აღიკვეთოს დამნაშავეების პარპაში ქვეყანაში.

გლდანში ორი, ვარკეთილში კი ერთი წლის მანძილზე პროკურა-

ტურდება ფინანსთა სამინისტროს აუდიტის სამსახურის მიერ კომპანია „მუშკეტერის" შემოწმების შედეგად დადებული დასკვნით 129129.05 2019. სწორედ ამ დასკვნის შემდეგ, მე მოვახდინე „შხელდასა" და „ჰუალინგის" მიერ მითვისებული ჩემი დანადგარების ყიდვით მიღებული დღგ აღება. ამ ფაქტმა განაპირობა ჩემს მიერ საპროტესტო აქციების გამართვა ყველა სახელმწიფო უწყებასთან ლოზუნგით" სამართლებრივი ვანდალიზმი და ნეპოტიზმი კორუფციის სათავეა, კორუფცია ანგრევს სახელმწიფოებრიობას. ჩემს აქციას და განცხადებებს 2018წლის 26 აპრილს გამოეხმაურა ქ-ნ თეა წულუკიანის უწყება. ამ უწყების მიერ თბილისის პროკურატურაში საბუთების გადაგზავნის შემდეგ გახდა შესაძლებელი გლდანი-ნაძალადევის პროკურატურაში გამოძიების დაწყება. პროკურორმა გულდედავამ 2019 წ 19 თებერვალს მიიღო დადგენილება, სადაც მან ჩემი კომპანია „მუშკეტერი" ცნო დაზარებულად 97633 ლარში. საქმე უკვე მზად იყო ბრალის წარსადგენად სასატურამ ვერ შეძლო ჩემი კომპანიის ქონების ქურდების და მიმტაცებლების პოვნა. თუმცა ცნობილია, ვისთან არის ეს ქონება, ვინ ფლობს მას უკანონოდ და ვინ წარმოადგენს გადამყიდველს. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ უყენებენ ბრალს დამნაშავეებს, პასუხი ესეთია: „სხვანაირად გვიყვებიან" მიმთვისებლები (ყოველგვარი მტკიცებულბების გარეშე), პროკურატურა ჭორაობს, როცა ჩემს მიერ მიწოდებული ყველა დოკუმენტური მასალა იქნა პროკურატურის მიერ იგნორირებული.

მივმართავ პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას, გენერალურ პროკურატურას, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს, გენინსპექციას, სასწრაფოდ მოხდეს სამართლიანობის აღდგენა. არ გვინდა ვიფიქროთ, რომ არ გაგაჩნიათ ბერკეტები სამართლიანობის აღდგენისა და ბანდიტებთან ბრძოლისა.

დიდი პატივისცემით:
ბესიკ მიქავა
შპს „მუშკეტერის"
დირექტორი
13.12.2019

ბაზრის პრინციპი: „ნუგეში როგორც უაზრო, უმიზნო საქმიანობის საშინელი ზღვა“



1981–1991 წლებში საფრანგეთის პრეზიდენტის საგანგებო მრჩეველი, რეკონსტრუქციის და განვითარების ევროპული ბანკის დამაარსებელი და პირველი პრეზიდენტი, ფრანგი ინტელექტუალი, მწერალი, საზოგადო მოღვაწე და მრავალი კვლევის ავტორი ჟაკ ატალი თავის ნაშრომში „ძმობები ახალი უტოპია“ მსოფლიოს მომავალ და მიმდინარე მოვლენებზე არცთუ დამაიმედებელ ინფორმაციას გვაწვდის. ისტორია გვასწავლის, რომ ბაზარს დასამკვიდრებლად დემოკრატია და დემოკრატიას განვითარებისთვის სჭირდება ბაზარი. საუკუნეა რაც დემოკრატიათა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. მოხმარების საზოგადოების პროგრესმა დასავლეთში დაამხო ბოლო დიქტატურები. მალე მაჰმადიანური ქვეყნების ახალგაზრდობა შეარყევს დიქტატურებს. უკვე ინდონეზიაში სტუდენტებმა

შეაზანზარეს დიქტატურა, ალჟირში მისი ხალხის, პირველ რიგში მისი ქალების და ქალიშვილების გმირული წინააღმდეგობა ამარცხებს ექსტრემისტულ სიგიჟეს. ასე ხდება მთავარ მაჰმადიანურ თეოკრატია ირანშიც. დარწმუნებული ვარ, რომ საბოლოო ანგარიშით მაღრიბიდან ირანამდე, პაკისტანიდან ბანგლადეშამდე, სირიიდან ერაყამდე, ეგვიპტიდან ინდონეზიამდე ინტეგრისტული კარკასი ვერ გაუძლებს მაჰმადიანი ახალგაზრდობის სწრაფვას დემოკრატიისკენ და მოხმარებისკენ. მალე მსოფლიოს დიდი ნაწილი გაეხსნება თანამედროვეობას, დიდი კულტურა გადაიქცევა მშვიდობის წყაროდ და თავის წვლილს შეიტანს მსოფლიოს პროგრესში.

თხუთმეტი წელიც არ იქნება გასული და ბაზრის პროგრესი გააღვიძებს ჩინელ და აფრიკელ მომხმარებლებსაც. ზოგი ფიქრობს, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური ლიბერალიზაციის პროცესი, ბაზრების მონდიალიზაცია, გამოიწვევს დემოკრატიის მონდიალიზაციასაც. მაგრამ ჩემის აზრით, სამწუხაროდ, არაფერი მსგავსი არ მოხდება. არ მოხდება ერთის მხრივ იმიტომ რომ ობსკურანტიზმის და დიქტატურის საუკეთესო მოკავშირეებად კიდევ დიდხანს დარჩებიან სიღატაკე, უმუშევრობა, დიპლომირებულთა არასაკმარისი დასაქმება. მეორეს მხრივ კი იმიტომ, რომ მონდიალიზაციას მათ სასარგებლოდ მაორგანიზებელი ბაზრების გამრავლება შესძრავს და მოგუდავს დემოკრატიას. დემოკრატიების სულის შეხუთვა ბაზარმა იმისთვის რომ შესძლოს ფუნქციონირება დაიწყო საზღვრების გარღვევა, მას სჭირდება გავრცელება, საკუთარი ზრდის ორგანიზება, ახალი სივრცეების გახსნა თავისთვის. დემოკრატიამ კი, პირიქით, უნდა დაიცვას ტერიტორია, რომელზეც ისაა დამკვიდრებული. მეტიც, საზღვრების შეძვრით ბაზარი. რესურსებს მიმართავს იქითკენ სადაც დაბეგვრის წესი უფრო მომგებიანია მისთვის. ბაზარი ერებს აძალებს ბაზრის მოთხოვნებისთვის შესაფერისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. და მათი ფულის კურსზე, და გადასახადების აკრეფაზე, კომერციულ ბალანსზე და სოციალურ პოლიტიკაზე კონტროლის დაკარგვას. საბოლოო ანგარიშით, როდესაც დიდ საწარმოთა მთავარი ნაწილი დაექვემდებარება რამოდენიმე მსოფლიო ჯგუფის კონტროლს ყოველი მთავრობა დაკარგავს სახელმწიფო სამსახურების შენარჩუნება-განმტკიცების უფლებას. ამ მთავრობებს დაეკისრებათ ერთნაირი დამოკიდებულება. სულერთია რომელი მოქალაქეობის მქონე და სულერთია რომელ ენაზე მოლაპარაკე პირების საკუთრებაში მყოფი კლინიკების, უნივერსიტეტების, სკოლების და სულერთია რომელი მოქალაქეობის მქონე და სულერთია რომელ ენაზე მოლაპარაკე კინორეჟისორების, გამომცემლების, ტელევიზიების მიმართ. მოკლედ მთავრობები დაკარგავენ ქვეყნის ეროვნული კულტურებისთვის პრიორიტეტის მინიჭების უფლებას. თუკი რომელიმე ქვეყანა დააპირებს თავისი ავტონომიის შენარჩუნებას დამოუკიდებელი ფისკალური, საგადასახადო პოლიტიკის გატარებით ან უარს იტყვის უცხოელთა საკუთრებაში მყოფი სკოლების დაფინანსებაზე ბაზარი მას მაშინვე დასჯის კაპიტალთა მოძრაობით. კაპიტალების მონდიალიზაცია უზრუნველყოფს ბაზრის მიერ ყოველი დემოკრატიის დამარცხებას. შექცევადობა-რევერსიულობა, სიმყიფე-მერყევადობა, ბაზრის და დემოკრატიის საერთო პრინციპია არჩევანის თავისუფლება ყველა სფეროში, პოლიტიკური პროგრამების, კანდიდატების, მოხმარების ობიექტების, როგორც პატრონისთვის ისე მუშა-მოსამსახურეთვის შრომის ფორმების არჩევანის თავისუფლება. პიროვნული თავისუფლება ყველა შემთხვევაში. ეს შეჯიბრის, კონკურენციის მონაწილეებს უბიძგებს მათი კლიენტებისთვის, მომხმარებლებისთვის თუ ამომრჩევლებისთვის მუდამ ახალი რამის შეთავაზებისკენ. ეს ხელს უწყობს არსებულის დასუსტებას. სიახლე ხდება ხარისხის კრიტერიუმი. თავისუფლება მაშინ ხორციელდება უფრო და უფრო სწრაფად. სისწრაფე იქცევა წესად. ეს მერყეობა უფრო და უფრო დაასუსტებს პოლიტიკურ ვითარებებს, სოციალურ ურთიერთობებს, პროფესიულ მიღწევებს, სენტიმენტალურ ურთიერთობებს. დაზარალდებიან უფრო სუსტები და პირველ რიგში ბავშვები. ღარიბ ქვეყნებში ათობით მილიონი ათი წლის ბავში ცხადდება სრულწლოვან ადამიანად. მდიდარ ქვეყნებში ბავშვი დარჩება თავისუფლების და სიახლის სიმბოლოდ, სილამაზის კრიტერიუმად. ბავშვი გადაიქცევა მოხმარების პროდუქტად. ოდესმე მშობლებს შესთავაზებენ განსაზღვრული ნიშან-თვისებების მქონე ერთ ან რამოდენიმე ბავშვს...მონდიალიზაცია ნაადრევად დააბერებს ბავშვებს. ბავშვებს უფრო და უფრო დააკლდებათ ბავშვობა, ის უნიკალური დრო როდესაც ყოველი ადამიანი არის თავისუფალი და თავს გრძნობს დროებით უპასუხისმგებლო, სხვების მიერ დაცულ, სხვების ზრუნვით გარემოცულ არსებად. დრო როდესაც სხვები ნაზები არიან მის მიმართ, უყვებიან მას ისტორიებს, ასწავლიან მას მორალს და თავისუფლების საზღვრებს. ვერც ერთი ცივილიზაცია ვერ გასძლებს დიდხანს თუ აზრს და მნიშვნელობას არ მისცემს ძალისხმევას და არ გაამართლებს დროის მდინარებას.

მაგრამ მოკლევადიან პერსპექტივაზე კონცენტრირებულ და და მერყევს და ცვალებადს შორის მოყანყალე ბაზარს ეს უფრო და უფრო ნაკლებად შეუძლია. ამის შესანიშნავ ბაზარმა მისი წვერები არ უნდა დააფიქროს უაზრობაზე, უნდა გაართოს ისინი. ბაზარი და გართობა-აი მონდიალიზაციის დევიზი. ის უწყვეტად, სულ უნდა იყოს ემოციური, მელოდრამატული, მანიქეველური „ნუგეში როგორც უაზრო, უმიზნო საქმიანობის საშინელი ზღვა“, ...ბაზრის თანდათანობითი გაძლიერება და დემოკრატიის დასუსტება გაართულებს სოლიდარობის მექანიზმების მოქმედებას და შენარჩუნებას. ბაზარი და დემოკრატია არის კოლექტიური გადაწყვეტის ორი პროცესი რომელთა შედეგებიც შეიძლება კონფლიქტური იყოს, ბაზრისთვის სოციალური ოპტიმუმი მიღწეულია მაშინ, როდესაც ყოველი ადამიანი იქცევა ეგოისტურად. დემოკრატიის თანახმად კი კოლექტიური ვითარება იდეალურია მაშინ როდესაც უმცირესობა ემორჩილება უმრავლესობის გადაწყვეტილებას. ანუ ბაზარი სჯის ღარიბ უმცირესობებს და დემოკრატია სჯის მდიდარ უმცირესობებს... როდესაც მოქმედებს დემოკრატიის წესი რაღაც გადაწყვეტილებით დასჯილ უმცირესობებს შეიძლება ჰქონდეთ სიტყვით და დარწმუნებით უმრავლესობის ნაწილის თავის მხარეზე გადაყვანის და ამით თავისი საქმის მოგების იმედი. მაშ, არის ექსცესებისგან თავის დაზღვევის რაღაც გარანტია. მაგრამ ბაზრის იდეოლოგიამ შეიძლება უბიძგოს მდიდარ და მოუთმენელ უმცირესობებს საკუთარი ინტერესების უმრავლესობის ინტერესებზე უფრო მაღლა დაყენებისკენ, დემოკრატიული ინსტიტუტების არაფრად ჩაგდებისკენ. მაშინ ყველაზე მდიდრები უარს იტყვიან განაწილებით საპენსიო სისტემების დაფინანსებაზე, რათა დააჩქარონ მარტო მათთვის სასარგებლო საპენსიო ფონდების შექმნა. მდიდარი უბნები უარყოფენ უმთავრესად ღარიბი მუნიციპალიტეტების მიერ უზრუნველყოფილ უსაფრთხოებას. გაჩნდება მდიდართა ბუნკერები, რომლებსაც ეყოლებათ საკუთარი დაცვა მდიდარი რეგიონები, ძირითადად დედაქალაქები და პორტები უარყოფენ საგადასახადო, ფისკალურ სოლიდარობა ნაკლებად მდიდარ რეგიონებთან და გაჩნდება სეცესიის საფრთხეც. ქვეყნის თუ ქალაქის მდიდარ მცხოვრებთა ჯგუფები გამოეყოფა მოსახლეობის დანარჩენ ჯგუფებს. ასეთ გაყრათა საბაბი იქნება რომელიმე უმცირესობის დამარცხება თავისუფალ არჩევნებში. ეს უკვე ხდება, ისეთი ქაოსია რომ აშშ-ში ბევრი მილიარდერი ელის მთელი დღევანდელი მსოფლიოს დაქცევას. ისინი ელიან მიწისძვრებს თუ სხვა ბუნებრივ კატასტროფებს, ტერორისტთა თავდასხმებს. ატომურ და სამოქალაქო ომებს, ძალიან ღელავენ და შფოთავენ. აშშ-ს და მთელი მსოფლიოს ტექნოლოგიური ავანგარდი სუპერტვინებიც და სუპერქისებიც, უმდიდრესი ტვინებიც და ფინანსისტებიც, პატრონი-გენერალური დირექტორებიც და ინვესტორებიც დაფაცურდნენ. ისინი ეხლა ხარჯავენ უზარმაზარ, გიჟურ ფულს და უცხოეთში აგებენ ბუნკერებს, რათა გადაურჩნენ მოსალოდნელ პლანეტარულ-მონდიალიზებულ ქაოსს. ასეთები უკვე საკმაო ხანია რაც არსებობენ როგორც აშშ-ში ისე ევროპაშიც და რუსეთშიც. მათ უწოდებენ სურვივალისტ-გადარჩენისტებს. ისინი საგანგებოდ დაცულ ადგილებში აწყობენ კონსერვის ქილებს, ოქროს ზოდებს, გენერატორებს, ყველა კალიბრის თოფებს...ისინი ელიან დღევანდელი ცივილიზაციის დამხობას და ქაოსში ჩაფლობას და ემზადებიან თავისი და თავისიანების გადასარჩენად, ყველა ჯურის არამზადათა მოსაგერიებლად. აშშ-ში უნდა იყოს დაახლოებით ათი მილიონი ასეთი გადარჩენისტი. ახლა ეს პარანოია შეეყარა ზემდიდრებსაც, მათ შორის სილიკონ ველის ტვინებსაც და ფინანსისტებსაც. ეს პიროვნებები ხარჯავენ მილიონებს რათა გადასახლდნენ დედამიწის მეორე ბოლოში ვინ არის ეს ხალხი და რომელ ქვეყნებში აპირებენ თავშესაფრის მონახვას ეს მდიდრები და რათ უნდათ მათ მდიდრული, ფუფუნებით გამორჩეული ბუნკერები აშშ-ს გარეთ?

მოამზადა
ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(დასასრული იქნება)

დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის დასუფთავების სამსახურის თანამშრომელთა მილოცვა

იყო დრო, როცა ყველა ადამიანს ჰქონდა სამუშაო, იყო დასაქმებული, იყო საჭირო ქვეყნისთვის, სახელმწიფოსთვის, საკუთარი ოჯახებისთვის და ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც ამის გამო იყო ბედნიერი და მხიარული, რადგან არა მხოლოდ ოჯახს და ახლობლებს, არამედ სახელმწიფოსაც ეხმარებოდა. ეს უდიდესი განცდაა და მაშინ სიცოცხლესაც სხვანაირი ელფერი აქვს.

სამწუხაროდ, ერთ დღეს ეს ყველაფერი დაინგრა და შრომამ, თითქოსდა, ფასი დაკარგა, მაგრამ ეს ერთი შეხედვით, ზედაპირულად, რადგან მშრომელი ადამიანი თავის საქმეს ყველგან და ყოველთვის იპოვის.

დასუფთავების სამსახურში ჩვენი ჯგუფი არც ისე მრავალრიცხოვანია, თუმცა აქ თითქმის ყველა პროფესიის ადამიანი მუშაობს, აქ არიან ყოფილი ინჟინრებიც, მათემატიკოსებიც, პედაგოგებიც. ადამიანები, რომელთათვი-

საც თბილისის ქუჩების დასუფთავება არა მხოლოდ შემოსავლის წყაროა, არამედ ერთგვარი სიამოვნებაც — დილაბნელზე რომ დააწკრიალებ ქალაქს და მერე უკვე გარიჟრაჟზე შეხედავ მზის სხივებით განათებული შენი საყვარელი ქალაქის ქუჩებს, ამაზე დიდი სიამოვნება ადამიანის გულისთვის ცოტა რამ თუ შეიძლება იყოს.

იმის გარდა, რომ სუფთა ქუჩები ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს, არამედ სასარგებლოცაა ქალაქის მაცხოვრებლებისათვის. სუფთა ქალაქი ადამიანის ჯანმრთელობის ერთ-ერთი გარანტიაა.

აი, იწურება 2019 წელი და გვინდა მთელ საქართველოს მიულოცოთ დამდეგი 2020. ეს წელი ჩვენი ქვეყნის გაძლიერების, მშვიდობის, სიუხვის წელი ყოფილიყოს.

ვულოცავთ თბილისის მერს ბატონ კახა კალაძეს, „თბილსერვისჯგუფის“ ხელმძღვანელობას და მთელ წარმომადგენლობას.

დიდი მადლობა ჩვენს დიდ კოლექტივს თანადგომისთვის და მეგობრობისთვის.

ვულოცავთ დიდუბე-ჩუღურეთის დასუფთავების სამსახურის მე-3 განოფილების უფროსს ჩვენს ძვირფას დავით ბურჭულაძეს. ის არა მხოლოდ ჩვენი დირექტორია, არამედ არის, როგორც შვილი, როგორც ძმა, როგორც ახლო მეგობარი, თავმდაბლობით, ღვთისმოსაობით, ზრდილობით, ქვეყნის სიყვარულით და პატრიოტობით გამორჩეული, არის შესანიშნავი მამა და კარგი მოქალაქე. მადლობა ბატონ დავითს ჩვენს გვერდით დგომისათვის და მეგობრობისთვის. მრავალი ბედნიერი ახალი წელი გასთენებოდეს საყვარელ სამშობლოში.

ვულოცავთ ბატონი დავითის მოადგილეს, შესანიშნავ ახალგაზრდას გია აფციაურს, ამ კეთილშობილმა, ზნეობრივმა, სათნო და უბრალო ადამიანმა დამგველებს შრომა შეგვაყვარა. სიკეთე და სიუხვე გვინდა ვუსურვოთ მის ოჯახს ამ ახალ წელს.

აქვე გვინდა ასევე გულთბილად მივულოცოთ ჩვენს ბრიგადირს როლანდ ალოევს, ნამდვილ ვაჟკაცს, ტკბილმოქართულეს, ისეთი დახვეწილი ქართულით მოუბარს, როგორადაც დღეს ბევრი ქართველიც კი არ ლაპარაკობს. ენის ასეთი პატივისცემა ხომ ქვეყნის დიდ სიყვარულს ნიშნავს. როლანდ ალოევის შრომისმოყვარეობა და ენერგიულობა ყველას დიდ სტიმულს გვაძლევს.

ვულოცავთ მთელ საქართველოს, თქვენი „საერთო გაზეთის“ რედაქციის თანამშრომლებს და მკითხველებს, თქვენს ყველა გულშემატკივარს.

ყველამ უნდა ვიცოდეთ, თითოეული ჩვენგანის გაკეთებული ყოველი კეთილი საქმე, ჩვენი შრომა, ჩვენს საქართველოს სიკეთედ წაადგება. ჩვენც ურთიერთსიყვარულით უნდა ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა, როგორც წინაპრებს უშენებია და უმოღვაწია ამ დალოცვილ მიწაზე.

დიდუბის-ჩუღურეთის რაიონის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლების ქუჩის დამგველთა სახელით,

ნათელა გუჯარაიძე, რიჩარდ მაგდასაროვი, ვრეჟ პოღოსიანი, გულნარა მაჯიტიანი, ხათუნა მამოევა, ატლას მამოიანი, ნატაშა ხუდოიანი, გიორგი კალანდაროვი, ომარ ხუმოიანი, გოჩა მიგრიაული, ზაქარია ხოლუაშვილი და სხვები.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— მაინტერესებს სამოქალაქო სამართალში ნაპოვარის თემა.

— თქვენთვის საინტერესო საკითხს არეგულირებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

1-ლი ნაწილი: დაკარგული ნივთის მპოვნელმა დაუყოვნებლივ უნდა განუცხადოს ამის შესახებ ნივთის დამკარგავს, მესაკუთრეს, უფლებამოსილ პირს, ან, თუ მათი ვინაობა უცნობია, — პოლიციას ან სხვა ადგილობრივ ორგანოს, და გადასცეს ეს ნივთი.

მე-2 ნაწილი: განცხადების გაკეთებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მპოვნელი იძენს საკუთრებას ნაპოვარზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მისთვის ცნობილი გახდა მესაკუთრე, ან მესაკუთრის უფლება ნივთზე პოლიციაში უკვე გაცხადებული იყო. საკუთრების უფლების მოპოვებასთან ერთად ქარწყლდება ყველა სხვა უფლება ამ ნივთზე.

მე-3 ნაწილი: თუ უფლებამოსილი პირი იბრუნებს ნივთს, მპოვნელს შეუძლია მოსთხოვოს მას ჯილდო (საპოვნელი) ნივთის ღირებულების ხუთ პროცენტამდე. გარდა ამისა, მპოვნელს შეუძლია მოსთხოვოს უფლებამოსილ პირს ან სათანადო ორგანოს ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურება.

მე-4 ნაწილი: თუ მპოვნელი უარს განაცხადებს საკუთრებაზე, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია ერთი წლის შემდეგ ნივთი აუქციონზე გაყიდოს და მოგება მიიღოს, ან, თუ ლაპარაკია დაბალი ღირებულების ნივთზე, უსასყიდლოდ გაასხვისოს ან გაანადგუროს იგი.

მე-5 ნაწილი:თუ ნაპოვნია ცხოველები, მალფუჭებადი ან ისეთი ნივთები, რომელთა შენახვაც დიდ ხარჯებს მოითხოვს, მაშინ ერთწლიანი ვადა არ გამოიყენება, ხოლო მესაკუთრეს უბრუნდება მათი გასხვისებით მიღებული თანხა.

* * *

— წარმოშობს თუ არა სამართლებრივ შედეგებს ჯვრისწერა?

— ეს შეკითხვა ხშირად შემოდის რედაქციაში. ჭორებისა და გავრცელებული საუბრების ფონზე, მოქალაქეები ფიქრობენ, რომ ჯვრისწერა, სამოქალაქო ქორწინების მსგავსად, არის სამართლებრივი შედეგების საფუძველი. ეს მცდარი აზრია. ჯვრისწერა არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს. ამიტომ ყველას ვურჩევ, ჯვრისწერასთან ერთად, ქორწინება გააფორმონ სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში. აღნიშნულს დაგიკონკრეტებთ შესაბამისი სამართლებრივი ნორმით:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1151-ე მუხლი: ქორწინების რეგისტრაციის მნიშვნელობა მეუღლეთა უფლებამოვალეობებს წარმოშობს მხოლოდ სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში რეგისტრირებული ქორწინება.

* * *

— ვაფორმებთ საპროცესო შეთანხმებას პროკურატურასთან. შეიძლება თუ არა, სასამართლომ დაამძიმოს ან შეამსუბუქოს ჩვენი პირობები სასჯელის ნაწილში?

— არა.

დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 213-ე მუხლის მე- 6 ნაწილის შესაბამისად, "სასამართლო უფლებამოსილია საპროცესო შეთანხმებაში ცვლილებები შეიტანოს მხოლოდ მხარეთა თანხმობის შემთხვევაში".

* * *

— ჩემს მიწის ნაკვეთს არ აქვს სარწყავთან დამაკავშირებელი ხაზი. შემიძლია თუ არა, მომიჯნე მეზობლის ნაკვეთით ვისარგებლო, მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა?

— წარმოგიდგენთ სამართლის ნორმას, რომელიც სრულად გასცემს პასუხს თქვენს შეკითხვას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 180. აუცილებელი გზა

1. თუ მიწის ნაკვეთს არა აქვს ჯეროვანი გამოყენებისათვის აუცილებელი კავშირი საჯარო გზებთან, ელექტრო-, ნავთობის, გაზისა და წყალმომარაგების ქსელთან, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია მეზობელს მოსთხოვოს, რომ მან ითმინოს მისი მიწის ნაკვეთის გამოყენება ამგვარი აუცილებელი კავშირის უზრუნველსაყოფად. იმ მეზობლებს, რომელთა ნაკვეთზედაც გადის აუცილებელი გზა ან გაყვანილობა, უნდა მიეცეთ შესაბამისი კომპენსაცია, რომელიც, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება ერთჯერადი გადახდით გამოიხატოს.

2. აუცილებელი გზის ან გაყვანილობის თმენის ვალდებულება არ წარმოიშობა, თუკი უკვე არსებული დაკავშირება მიწის ნაკვეთისა გაუქმდა მესაკუთრის თვითნებური მოქმედებით.

ჯიროლამო სავონაროლას ფლორენცია

1498 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს მღვდელმსახური, ქარიზმატული ადამიანი, მგზნებარე მქადაგებელი, საზოგადოებისა და რომის კურიის მავნე ჩვევების მამხილებელი, ერთ დროს ფლორენციის ფაქტობრივი მმართველი ჯიროლამო სავონაროლა. მან სიცოცხლე 1498 წლის 23 მაისს დაასრულა სახრჩობელაზე იმ ბრბოს აღფრთოვანებული შეძახილებით, რომელიც სულ სოტა ხნის წინათ მზად იყო, მისი ნებისმირი მოწოდება შეესრულებინა.

XV საუკუნის დასასრულისთვის მედიჩის ოჯახი ფლორენციიდან ცოტა ხნით გააძევეს. ამ მოკლე დროში ქალაქმა სულ სხვაგვარი ცხოვრება დაიწყო. რესპუბლიკა დომინიკანელი ბერის ჯიროლამო სავონაროლას სწავლებების გავლენით შეიცვალა, მან ქალაქის სუზერენად იესო ქრისტე გამოაცხადა, შეცვალა საეკლესიო წესები და კანონმდებლობა. თუმცა რეაქციულმა ძალებმა უკვე რამდენიმე წლის შემდეგ გაიმარჯვეს, დრომ Aაჩვენა, რომ სავონაროლა ფლორენციის რეფორმაციის წინამორბედი იყო.

1449 წელს დაიწყო იტალიის ომების ეპოქა. ფრანგმა მეფემ კარლ VIII-მ ნეაპოლის სამეფოზე პრეტენზია გამოთქვა და აპენინის ნახევარკუნძულზე შეიჭრა. ნოემბერში მისი ჯარი ფლორენციაში შევიდა. მედიჩები ტახტიდან ჩამოაგდეს. ფრანგებს შეხვდა დელეგაცია, რომლის სათავეშიც გავლენიანი ბერი და მქადაგებელი ჯიროლამო სავანაროლა იყო. ამ მომენტიდან იწყება უნიკალური ფლორენციული ექსპერიმენტი.

სავონაროლა ქალაქის რელიგიური და პოლიტიკური ლიდერი იყო 1494-1498 წლებში. იქ აღადგინეს რესპუბლიკის ტრადიციები. ქალაქის მცხოვრებლებმა აირჩიეს აკაპიატორები — ოცი ადამიანი, რომლებსაც უფლებამოსილება ჰქონდათ, დაენიშნათ ადამიანები მმართველ თანამდებობებზე. ფლორენციაში ერთმანეთთან ბრძოლა დაიწყეს სხვადასხვა პარტიებმა. გაურკვევლობისა და უფულობის პირობებში გაჩნდა ღარიბი მოსახლეობის მდიდარი მოსახლეობის წინააღმდეგ აჯანყების საფრთხე. სწორედ ამ გარემოებებმა აიძულეს სავონაროლა, დაკავებულიყო არა მხოლოდ რელიგიური, არამედ საერო საქმეებითაც.

თავის ქადაგებებში ბერი მოუწოდებდა მოქალაქეებს, უარი ეთქვათ სიმდიდრეზე და თავიანთი ნივთები ღარიბებისა და უქონელთათვის დაერიგებინათ. სავონაროლას მთავარი რეფორმატორული იდეა იყო, უარი ეთქვათ კერძო ინტერესებზე და დაფიქრებულიყვნენ საერთო კეთილდღეობაზე და, ამავე დროს, შენარჩუნებინათ რესპუბლიკური წყობა. ფლორენციას ამ წყობით აყვავებისთვის რომ მიეღწია, ის თვალნათელი მაგალითი იქნებოდა სხვა იტალიური ქალაქებისთვის. საყოველთაო შერიგების დღეს გამოცხადდა ამნისტია და გაათავისუფლეს წინა ხელისუფლების მომხრეები.

მედიჩების გადაყენების შემდეგ ფლორენციაში საყოველთაო ამნისტია გამოცხადდა

თავისუფალი ფლორენციის სიმბოლო დონატელოს მიერ შექმნილი ივდითის ქანდაკება გახდა, რომელიც ოლოფერნს აჭრის თავს. ის პალაციო ვეკიოს შესასვლელთან დადგეს. სხვათა შორის, სავონაროლას თაყვანისცემელი იყო მიქალენჯელოც, რომელიც მის პოლიტიკურ იდეებს უჭერდა მხარს. მქადაგებელმა სან მარკოს ბერებიც დაარწმუნა, რომ გამოესყიდათ მედიჩის ბიბლიოთეკა და საყოველთაო სარგებლობისთვის გაეხსნათ. სავონაროლა მუდმივად გარშემორტყმული იყო მხატვრებით და მხარს უჭერდა ახალგაზრდა ტალანტებს.

ქალაქის ცხოვრების ახალი ლოზუნგი გახდა გამოთქმა: „ვენეციის მაგვარი დიდი სათათბირო“. გარდა იმისა, რომ დიდ სათათბიროში შედიოდნენ, ძირითადად, არისტოკრატები, დაწესდა კვოტა საბჭოში 60 რიგითი მოქალაქის შეყვანის შესახებ. ამ ორგანოს შემდაგენლობა ყოველ ექვს თვეში იცვლებოდა. ხელისუფლების შეცვლა, რომელსაც ქალაქი ტირანიისგან უნდა დაეცვა, რესპუბლიკის მმართველობის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი გახდა. დიდი სათათბირო იღებდა კანონებს. ფლორენციის ისტორიკოსები თვლიან, რომ სავონაროლას ეპოქის კანონმდებლობა ქალაქის არსებობის ისტორიაში ყველაზე დალაგებული იყო.

კარნავალი ფლორენციის მთავარი დღესასწაული იყო

ფლორენციის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კარნავალი. 1498 წელს ეს სახალხო დღესასწაული დასრულდა ამ გავლენიანი მქადაგებლის შეხედულებით მავნე და უხამსი წიგნების დაწვით. მათ შორის ბოკაჩოს „დეკამერონიც“ იყო. ხელოვნების ამორჩეული ნაწარმოებები, ნიღბები და კოსტიუმები დიდ პირამიდად დაალაგეს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე და ისე დაწვეს სახალხოდ.

თავად სავინაროლა თავს სახალხო მრჩევლად თვლიდა. მის წინააღმდეგ გამოვიდა ეკლესია. დომინიკანელი აპირებდა მსოფლიო კრების მოწვევას, რომელიც პაპ ალექსანდრე VI-ს (ბორჯია) უფლებამოსილებას შეუჩერებდა. ეკლესიამ ჯერ ბერს ქადაგება აუკრძალა, შემდეგ კი მასზე საჩვენებელი სასამართლო მოაწყო. სავონაროლა სასტიკად აწამეს და დასაჯეს. მასთან ერთად დაიღუპა მის მიერ შექმნილი სახელმწიფო მოწყობაც. ახალგაზრდა რესპუბლიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ იტალიელი თავადები, ეკლესია და ატისტოკრატია. მაკიაველიმ სავონაროლას მარცხი პოლიტიკური ოპონენტების მიმართ დიდსულოვნებით ახსნა: „ის დაიღუპა, რადგან არ ან ვერ აჯობა მათ, ვისაც მისი შურდა“.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. ტელ: 234-39-99
E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983
9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge